DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Dolaberidze, R. / დოლაბერიძე, რ. / Долаберидзе, Р. М.
- Title: არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან (თუშეთი) / Археологический материал из села Шенако (Тушетия)
- Publication Date: 1973
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_822a0f4400

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

IVE
3207

რ. დოლაბერიძე

არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან



„მეცნიერება“
1973

LVE
207
931.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

რ. დოლაბერიძე

არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან (ბუშეთი).

17098

გამომცემლობა
„მეცნიერება“
თბილისი
1973

902.2(ᲪᲐ41)
Დ 711

1964 წ. მთათუშეთის სოფ. შენაქოში აღმოჩნდა მდიდარი არქეოლოგიური მასალა — გულსაკიდი ჯვრები, ზოომორფული ქანდაკებები, ჭურჭლის ფრაგმენტები, სამკაული, ცხენის აკაზმულობის ელემენტები, VIII ს. მონეტა და სხვ. წიგნში მოცემულია ამ მასალის აღწერილობა, ანალიზი, მოყვანილია ანალოგიური მასალა, განსაზღვრულია თარიღები.

შენაქოს კომპლექსი სალოცავ ნიშთან — ხატთან ანუ ჯვართანაა დაკავშირებული. იგი მნიშვნელოვანი წყაროა მთათუშეთისა და, საზოგადოდ, მთიელთა რელიგიური მსოფლმხედველობის წარმოსადგენად ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ საფეხურზე, VIII—XI საუკუნეებში.

შენაქოს აღმოჩენების მსგავსება საკუთრივ ქართულ მასალასთან მჟღავნდება მთელი რიგი მოყვანილი ანალოგების საფუძველზე. ამავე დროს ნივთების ნაწილი, თავისი ხასიათით, დამახასიათებელი ჩანს ჩრდილო კავკასიის მატერიალური კულტურისათვის. აღნიშნული გარემოება იმ მჭიდრო კულტურული და იდეოლოგიური სიახლოვის მაჩვენებელია, რომელიც არსებობდა საქართველოს მთიან რაიონებსა და ჩრდილო კავკასიას შორის ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

1—6—2
169—72 ადგ.
М—607

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მთათუშეთი, საქართველოს ეს მაღალმთიანი და ძნელად მისადგომი კუთხე, არქეოლოგიურად თითქმის სრულიად შეუსწავლელია. სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიება თუშეთში დღემდე არ ჩატარებულა. ამ მხარის არქეოლოგიური მონაცემები საცდელი გათხრებით და შემთხვევით აღმოჩენილი მასალით ამოიწურება[1].

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1964 წ. შემოვიდა მთათუშეთის სოფ. შუნაქოში (ახმეტის რაიონი) მოპოვებული არქეოლოგიური მასალა[2].

---

1 პირველი, მთათუშეთში აღმოჩენილი ნივთები — რიტუალური დანიშნულების ბრინჯაოს ორი ირმისა და ერთი მამაკაცის ქანდაკება, დაფანჯრული ბალთა, აგრეთვე ორი სამაჯური, შესულია კავკასიის მუზეუმის კოლექციებში. იხ. Коллекции Кавказского Музея, т. V. Г. И. Радде. Тифлис, 1902, გვ. 40—41.

1912 წ. წოვა თუშების ნასოფლარ წაროში გათხრები ჩაუტარებია ნ. მოლჩანოვს. მის მიერ მიწის ზევით ნაგებ აკლდამებში მოპოვებულ იქნა ბრინჯაოსა და რკინის სამკაულები, ორნამენტირებული სარკეები და სხვ. ზემოაღნიშნული, კავკასიის მუზეუმის კოლექციებისა და წაროს აკლდამების მასალები განხილულია ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს მონოგრაფიაში „თუშეთი“.

1932 წ. სოფ. დართლოში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი გ. ჩიტაია) გაითხარა რამდენიმე ქვაყუთი. სამარხეული ინვენტარი შეიცავს სხვადასხვაგვარ სამკაულს, ბრინჯაოს სარკეებს, ცხენის აკაზმულობის დეტალებს და სხვ. აღნიშნული მასალა ფეოდალურ პერიოდს მიეკუთვნება.

საცდელი გათხრები ჩატარდა აგრეთვე 1968 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ა. შავხელიშვილი) სოფ. საგირთას ძველ სასაფლაოზე. აქ გამოვლენილი ქვაყუთები მეტად საინტერესოა თვისი კონსტრუქციით. ინვენტარი შეიცავს სამკაულს, ბრინჯაოს სარკეებს, ცხენის აკაზმულობის ელემენტებს და სხვ. აღსანიშნავია ერთ-ერთ სამარხში ცხენის ქვედა ყბის ფრაგმენტის აღმოჩენა. მასალა ფეოდალური ხანით თარიღდება.

ზემოდასახელებული მასალები დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

2 მასალა დაცულია ფეოდალური პერიოდის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებაში და გატარებულია მიმდინარე შემოსულობათა დავთარში— N $\frac{34—64}{1—326}$.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს შენაქოს მასალის დეტალურ შესწავლას — ძეგლის ხასიათის განსაზღვრას, მასალის აღწერას და მის ანალიზს, ანალოგიურ მასალასთან შედარებას და შეძლებისდაგვარად დათარიღებას.

სოფელი შენაქო მდებარეობს მთათუშეთის ჩაღმა ხევში, პირიქით ალაზნისა და გომეწრის ალაზნის შეერთების აუზში. ზემოაღნიშნული მასალა მოპოვებულია სოფლის აღმოსავლეთ განაპირას მდებარე ბორცვზე, რომელსაც ნიშტაყოს ეძახიან. ამ ბორცვზე დღეს მეცხრამეტე საუკუნეში აგებული სამების ეკლესია დგას. ბორცვის დიამეტრი დაახლოებით 40—50 მეტრია. ციცაბო, ქანობიან ბორცვს მისადგომი ფერდობი მხოლოდ დასავლეთიდან, სოფლის მხრიდან აქვს.

ძეგლის გამთხრელის ნ. ჯიჯერიძის ცნობით, ბორცვის დასავლეთი მხარე დამწვარი ქვით იყო დაფარული. სწორედ ამ გარემოებამ მიიპყრო მისი ყურადღება. გავლებულ იქნა 6—7 მ სიგანის თხრილი ბორცვის სიღრმეში, დაახლოებით 3 მ სიგრძეზე. კულტურული ფენა მიწის ზედაპირიდან დაიწყო და სულ ნახევარი მეტრის სიღრმეზე ჩავიდა.

გათხრების პროცესში დიდი რაოდენობით იქნა ამოღებული ერთმანეთთან შედუღებული ქვები და ნაცარი. ამ დამწვარ-დანახშირებულ ფენაში გამოვლინდა სხვადასხვა დანიშნულების, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნივთების შემცველი კომპლექსი, რომელშიც ნივთების დანიშნულების მიხედვით გამოიყო შემდეგი ჯგუფები: 1. გულსაკიდი ჯვრები (30 ერთეული); 2. ზოომორფული ქანდაკებანი (3 ერთეული); 3. ჭურჭლის ფრაგმენტები — ვერცხლის (2 ერთეული) და კერამიკული (9 ერთეული); 4. სამკაული — მინის (43 ერთეული) და ლითონის (8 ერთეული) სამაჯურები, საყურეები (3 ერთეული), მძივები (9 ერთეული), ფიბულები (2 ერთეული), საკინძები (4 ერთეული); 5. ცხენის აკაზმულობის დეტალები — ბალთები (145 ერთეული), საკიდი მილაკები (24 ერთეული), ეჟვნები (7 ერთეული), ზარაკები (3 ერთეული), ფიგურული საკიდები (3 ერთეული); 6. იარაღი — შუბისპირი (1 ერთეული); 7. მონეტა — არაბული დირჰემი, მოჭრილი 772—773 წწ. ქ. აბასიაში[3]. იგი ზედა ნაწილში ორ ადგილას გახვრეტილია, ჩანს, სამკაულად გამოუყენებიათ. ნიშანდობლივია, რომ განათხარ ფართობზე განსაკუთრებით მრავლად გამოვლინდა

---

[3] მონეტა განსაზღვრა ნუმიზმატმა ი. ჯალაღანიამ.

კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები და ცხოველთა ძვლები, რომლებიც, სამწუხაროდ, ადგილზევე იქნა დატოვებული. როგორც ვხედავთ, მასალა თავისი დანიშნულებით მეტად მრავალგვარია. მასში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი როგორც რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ამსახველი მასალა, ისე სამკაული და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები — ჭურჭელი, ცხენის აკაზმულობის დეტალები და სხვ.

ზემოდასახელებული მასალის აღმოჩენის ვითარება და რაგვარობა — ზოომორფული ქანდაკებანი, მრავლად წარმოდგენილი გულსაკიდი ჯვრები და რიტუალური დანიშნულების სხვა ნივთები, საფუძველს გვაძლევს ეს კომპლექსი საკულტო დანიშნულების ადგილს დავუკავშიროთ და ხატისათვის შეწირულ ნივთებად მივიჩნიოთ. მთელი ამ მასალის აღმოჩენა დამწვარი ქვისა და ნაცრის ფენაში იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ სალოცავი ნიში — ხატი, უეცარი ხანძრის შედეგად განადგურდა, რითაც მოხდა მასალის კონსერვაცია.

ძველი წარმართული საკულტო ძეგლები — ხატი ანუ ჯვარი[4] აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების ბევრ სოფელში დღემდეა დაცული. ხატი, გარდა საკუთრივ სალოცავი ნიშისა, მთელი კომპლექსის ზოგადი სახელია. იგი წარმოადგენს უმთავრესად ყორის გალავნით გარშემოვლებულ ტერიტორიას, რომელშიც განლაგებულია მრავალწლოვანი წმინდა ხეები და მთელი რიგი ნაგებობანი — დარბაზი, საქვაბე, სალუდე ანუ ბელელი, სადროშო კოშკი, ხატის კარი და სხვ. ხატის მთელი მოძრავი თუ უძრავი ქონება ხატის კოლექტივის „მონათა“ სრულ საკუთრებად ითვლებოდა[5].

მთათუშეთის ზოგ სოფელში დღესაც ორი ან სამი ხატი დგას. თუშური ხატი მშრალად, უტალახოდ, სიპი ქვითაა ნაგები. იგი

---

4 ხატთან, ანუ ჯვართან დაკავშირებით ვრცლად იხ. Н. Марр. О религиозных верованиях абхазов. Христианский Восток, IV, I, СПб, 1915, გვ. 125—127; მისივე. Еще о термине ხატი gai-i образ, подобие, Христианский Восток, IV, 3, СПб, 1915, გვ. 313—314.

5 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე და გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბ., 1939, გვ. 2, 5; ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ხევსურული „ჯვარი“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V, თბ., 1951, გვ. 67, 81; ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 48—50; В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957, გვ. 2, 11, 160.

კუთხოვანი ფორმის ნაგებობას წარმოადგენს, რომლის ერთ მხარეზე საწირ-სანთლისათვის განკუთვნილი ნიშია დატანებული. ზოგიერთი ხატი შემკულია ჯიხვისა და ირმის რქებით. თითოეული ხატი დაკავშირებულია ერთ რომელიმე წმინდანთან ან ღვთაებასთან, რომელიც გვარის მფარველს წარმოადგენს და მის სახელს ატარებს. მაგალითად, ს. ჩიღოში დგას ლაშარის ხატი, ომალოში — მარიამ წმინდა, შენაქოში — კურეხის ჯვარი და ნივრის ჯვარი, ფარსმაში — ფარსმის წმ. გიორგი და სხვ. ამ ხატებს შორის მთავარ ხატად ითვლება ლაშარი, ხითანო და სამებაᲬ.

აღსანიშნავია, რომ მთათუშეთში და აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა რაიონებში, წარმართულ ნიშებთან ამ ბოლო დრომდეც, ყოველწლიურად, იმართება ტრადიციული წარმართული დღესასწაული — ხატობა, რომელიც გადმონაშთების სახით შეიცავს უძველეს ჩვევა-წარმოდგენებისაგან შედგენილ რთულ ცერემონიალს.

მთიელთა თანამედროვე ყოფაში შემორჩენილი ხატ-სალოცავების საწყისი ფორმა, საქართველოს ბარში, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დასტურდება. კახეთში გათხრილი მელიღელეს I და II, აგრეთვე მელაანის სამლოცველოები, უკვე სამოსახლოებისაგან გამოყოფილი, განცალკევებით მდებარე, ხატის მსგავსად რიყის ქვით შემოზღუდული საკულტო დანიშნულების კომპლექსებია. რიტუალური თუ შეწირული ნივთები აქ გვხვდება ორმოებში, წმინდა ნაცართან ერთად, რიყის ქვის წრეებს ირგვლივ, თიხის ჭურჭლებში და სხვ. ამ უძველეს სალოცავებში უხვადაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭელი, რომელთა შორის ხშირია ზოომორფული, სკულპტურული ყურებით შემკული ნიმუშები, საბრძოლო იარაღი, ცხენის აკაზმულობის ნაწილები, სამკაული, გვხვდება აგრეთვე ანთროპომორფული მცირე ქანდაკებანი და სხვ[7]. ნიშანდობლივია, რომ ამ უძველეს სალოცავებზე და შენაქოს ხატზე გამოვლენილი მასალა იდენტურია თავისი დანიშნულების მიხედვით.

ბარის უძველესი სალოცავებისა და მთის ხატის კონსტრუქციული მსგავსება, აგრეთვე შეწირულ-რიტუალური მასალის იდენტური ხასიათი იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ მთამ საუკუნეების

---

6 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

7 К. Н. Пицхелаури, Основные проблемы истории племен восточной Грузии (XV—VII вв. до н. э.), Автореферат докторской диссертации, Тб., 1973, стр. 66—76.

მანძილზე შეინარჩუნა როგორც თვით სალოცავის უძველესი ფორმა — წარმართული ხატი, ისე ტრადიციული რელიგიური რიტუალი, სიმბოლიკა და რწმენა-წარმოდგენები.

ის გარემოება, რომ შენაქოს მასალაში უხვად მოიპოვება ქრისტიანული რელიგიის ელემენტები — ჯვრები, მიგვითითებს, რომ აღნიშნული კომპლექსი მიეკუთვნება მთათუშეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგდროინდელ პერიოდს. მეორეს მხრივ, შენაქოს მასალაში არსებული წარმართული ყოფისათვის დამახასიათებელი მომენტები — სალოცავის სახე — ხატი, ფეტიშიზმისა და ტოტემიზმის ელემენტები და სხვ., მოწმობს, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ მთათუშეთის მოსახლეობაში მკვიდრად ვერ გაიდგა ფესვები.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობა საზოგადოების განვითარების განსაზღვრული სოციალ-ეკონომიური პირობების, ფეოდალური ურთიერთობის ნაყოფია. საქართველოს მთიანეთში ფეოდალიზმი ყალიბდებოდა ნელა, ხანგრძლივი დროის მანძილზე, თემურ-გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესში. ამის გამო ნიადაგი ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისათვის — ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება, აქ არ იყო მყარი. თითქმის ბოლო დრომდე თუშების, ისევე როგორც ხევსურების, მოხევეებისა და სხვა მთიელთა საზოგადოებრივ ყოფაში მძლავრად იყო გაბატონებული თემურ-გვაროვნული წყობილების ელემენტები — მიწებისა და იალაღების საერთო, სათემო საკუთრება, ხევისბერისა და გვარის უფროსის სტატუსი, სისხლის აღების წესი და სხვ.

საქართველოს მთიანეთში ფეოდალიზმის სწრაფი განვითარება შეაფერხა მისმა ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ. მეურნეობის პრიმიტიული ხასიათი და კარჩაკეტილობა, თავის მხრივ, მთის მწირი რელიეფით და მკაცრი ბუნებით იყო განპირობებული. ყოველივე ამის გამო, ქრისტიანობა, ფეოდალური კლასის იდეოლოგია, მთაში მკვიდრად ვერ დაინერგა. მთა მოინათლა, მაგრამ ქრისტიანული მოძღვრება უცხო დარჩა მთის მოსახლეობისათვის. „სწორედ ამიტომ თუშეთი ქრისტიანული ძეგლებით ღარიბია, ძველი ტაძრები და საეკლესიო განძეულობა აქ არ მოიპოვება. აქ არც ძველი წარწერები და ხელნაწერები გვხვდება, რომ შეიძლებოდეს ამ კუთხის ქრისტიანული რწმენისა და კულტის შესახებ ვიქონიოთ გარკვეული წარმოდგენა. მთათუშეთის ზოგიერთ სოფლებში მოიპოვება დღეს უკვე გაუქმებული ეკლესიები. მაგრამ ეს

ეკლესიები აშენებულია მე-19 საუკუნეში, მონარქიული რუსეთის ბატონობის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა „ურწმუნო“ მთიელების გაქრისტიანებას... ამ ეკლესიებთან ხალხის რელიგიურობას ნაკლები კავშირი ჰქონდა და აქაური ხატობა-დღეობებიც წარმართულ ნიშებთან სრულდება“[8].

როდის და რა ვითარებაში მოხდა მთათუშეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება, ამის შესახებ ქართული ისტორიული წყაროები სათანადო ცნობებს არ გვაწვდიან. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების პირველ ეტაპზე, თუშეთი წარმოადგენდა სანდო თავშესაფარს ქრისტიანული რელიგიისაგან ლტოლვილი მთიელი ხალხებისათვის, კერძოდ, ფხოველებისათვის. მათ ახალი სარწმუნოების მიღებას ქვეყნის დატოვება და თუშეთს გადასვლა ამჯობინეს[9]. ამდენად, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ქრისტიანობის გავრცელების პირველი მძლავრი ტალღა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ნაწილმა განიცადა, თუშეთს არ შეხებია.

„ქართლის ცხოვრების“ არაერთი ფურცელი მოგვითხრობს იმ იძულებით მეთოდებზე, რომელსაც მიმართავდა ცენტრალური ხელისუფლება მთის მცხოვრებთა შორის ქრისტიანული რელიგიის დასანერგავად. აღნიშნულია აგრეთვე აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსის (VI ს.) ღვაწლი არაგვის აღმოსავლეთით მცხოვრებ მთიელთა მოქცევის საქმეში — „მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნი“[10]. ამასთან დაკავშირებით ს. ჯანაშია აღნიშნავს: „რადგან ქ. ნეკრესი თვითონ კავკასიის მთის კალთებზე მდებარეობს, ამიტომ საფიქრებელია, რომ „მთიულებში“ მემატიანე მთის კავკასიელ ტომებსაც გულისხმობს. ასე ესმის ეს კერძოდ ვახუშტის, რომელიც ამბობს, რომ აბიბოსი იყო „მწყემსი გალმა მჯრისა დიდოთურთ“[11]. ამ განმარტების საფუძველზე, შესაძლებელია, პირობით ვიგულისხმოთ, რომ ეს პროცესი აღნიშნულ ხანაში თუშეთსაც უნდა შეხებოდა.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ შემდეგი ცნობა: არჩილ მეფემ „პოვნა წუქეთს მთავარ-

---

8 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

9 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955, გვ. 125—126.

10 იქვე, გვ. 229.

11 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 249.

ნი, რომელთად, მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი"[12]. ამ ცნობის მიხედვით, ერთის მხრივ, ირკვევა, რომ VIII ს. შუახანებში თუშები, ხუნძები და სხვა ყველა მთის წარმართნი, ადმინისტრაციულად წუქეთის ქართულ საერისთავოში შედიოდნენ. მეორე მხრივ კი, აქ აღნიშნულია ჩამოთვლილი ტომების რელიგიური მრწამსი. ს. მაკალათია ამ ცნობის საფუძველზე აღნიშნავს, რომ ამ დროს „ჩრდილოეთის ტომები და მათ შორის საგულისხმოა თუშებიც, წარმართნი ყოფილან"[13]. ამავე დროს იგი დასძენს: „მაგრამ ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც საქართველოდან ვრცელდებოდა, მათშიაც მალე შეჭრილა... მე-IX ს-ში ჩრდილოეთის ტომების გაქრისტიანება მომხდარი ფაქტი ყოფილა. მთელი ამ კულტურულ-რელიგიური მოძრაობის გამტარებელი ტერიტორიულად უნდა ყოფილიყო თუშეთი, საიდანაც ძურძუკეთის ბილიკები გადიოდა. ამიტომ თუშეთის გაქრისტიანებაც ამავე ხანებში უნდა მომხდარიყო"[14]. მაგრამ ისმის კითხვა, „ქართლის ცხოვრების" ზემომოტანილ ცნობაში თუშებისა და ხუნძების ცალკე გამოყოფა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მათი „გაქრისტიანება" არჩილ მეფის წუქეთში ჩასვლამდე, ე. ი. VIII ს. შუახანებამდე უკვე მომხდარი ფაქტია?

როგორც ვხედავთ, პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, ზემოთ მოტანილი მსჯელობა ვარაუდის სახითაა წარმოდგენილი. მხოლოდ სისტემატურმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მთათუშეთში და მისი მატერიალური კულტურის ძეგლების ზედმიწევნითმა შესწავლამ, შეიძლება მომავალში შუქი მოჰფინოს ამ საკითხს.

შენაქოში აღმოჩენილი საკულტო მასალა მნიშვნელოვანი წყაროა მთათუშეთის, და საზოგადოდ, მთიელთა რელიგიური მსოფლმხედველობის წარმოსადგენად ადრეულ და განვითარებულ საშუალო საუკუნეებში, როდესაც მათი „გაქრისტიანება" უმთავრესად მომხდარი ფაქტია.

შენაქოს მასალების მიხედვით, მთათუშეთის მოსახლეობის იდეოლოგიაში, ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ საფეხურზე, რელიგიური სინკრეტიზმი აღინიშნება. ქრისტიანული რელი-

---

12 ქართლის ცხოვრება, გვ. 243.
13 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 19.
14 იქვე, გვ. 19—20.

გიის სიმბოლო — ჯვარი. შესულია მძლავრად წარმოდგენილ წარმართულ რელიგიასა და მის რიტუალში — სალოცავი ხატი, მსხვერპლად შეწირვა, ზოომორფიზმი და სხვ.

შენაქოში აღმოჩენილი გულსაკიდი ჯვრები განვითარებული, ჩამოყალიბებული ფორმებით ხასიათდებიან და მიეკუთვნებიან იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ჯვრების ტიპს. მათ ქრისტიანულ ბუნებაზე ხაზგასმით მიუთითებს აგრეთვე ჯვარცმისგამოსახულებიანი ნიმუშები. ამ ჯვრების აღმოჩენა შენაქოს საკულტო მასალებს შორის მთათუშეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების მატერიალური გამოხატულებაა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამგვარი, გულსაკიდი ჯვრების, საყოველთაო გავრცელებით აღინიშნებოდა მთიელთა მონათვლა-გაქრისტიანება. ქრისტეს ჯვრის შეწირვა ხატის სახელზე კი მთიელთა წარმართული ბუნებისა და ჩვევის კიდევ ერთი დადასტურებაა.

წარმართული კულტისა და ქრისტიანული რელიგიის ელემენტების თანაარსებობის არაერთი მაგალითი შემოგვინახა საქართველოს მთიანეთმა. ამ მხრივ საინტერესო მასალები დასტურდება ყაზბეგში, ყუროს მთის სალოცავში. გასული საუკუნის 80-იან წლებში სოფელ სტეფანწმინდის ჰატარა ეკლესიაში პ. უვაროვას უნახავს ცხვრის კერპი, რომელიც ადრე ყუროს მთის მწვერვალზე აღმართულ სპარსანგელოზის სალოცავ ნიშში მდგარა. ხისაგან უხეშად გამოთლილ ცხვრის ფიგურას ზედაპირი ვერცხლის ფირფიტებით ჰქონდა შემკული. ფირფიტების უმრავლესობაზე გამოსახული იყო ყურძნის რტო, ერთზე — ღვთისმშობელი ყრმით, ხოლო სამზე — წმინდა გიორგი ცხენზე მჯდომარე. ცხვარს თავი აგრეთვე ვერცხლისა ჰქონდა, არქაული ფორმის, ყურებზე ეკიდა რამდენიმე წყვილი საყურე[15].

უფრო გვიან, 1930 წ. ხევში მოგზაურობის დროს, ს. მაკალათიას ცხვრის კერპი ვეღარ უნახავს. ცნობები, რომელიც მან ამ კერპის ირგვლივ შეკრიბა, მოგვითხრობენ, რომ ძველად ცხვრის ზურგზე ვერცხლის ჯვარი ყოფილა აღმართული, რომლის ორივე მხარეზე ლითონის სამკუთხა, დაფანჯრული საყურეები ეკიდა. სპარსანგელოზის ნიშში, რომელიც ს. მაკალათიას მიტოვებული დახვდა, ელაგა ძველად შეწირული ბეჭდები, ხატის ულლები, ჯვრები და ვერცხლის მონეტები[16].

როგორც ვხედავთ, სპარსანგელოზის სალოცავ ნიშში, წარ-

---

15 П. С. Уварова, Кавказ, Путевые заметки, М., 1887, стр. 96—97.

16 ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934, გვ. 249—251.

მართული რიტუალის ვითარებაში და წარმართული სიმბოლიკის გვერდით, თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა ქრისტეს ჯვარი და ქრისტიანული რელიგიის წმინდანები — ღვთისმშობელი ყრმით, აგრეთვე წმ. გიორგი.

შენაქოს და სპარსნაგელოზის ნიშის მასალები, აგრეთვე თანამედროვე ყოფაში შემორჩენილი რელიგიური ხასიათის გადმონაშთები მიგვითითებენ, რომ ქრისტიანობის გავრცელების შედეგად, მთიელი ხალხის წარმართული ღვთაებების ანუ კერპების პანთეონში ქრისტიანულმა ჯვარმა გარკვეული ადგილი და ფუნქცია დაიმკვიდრა. ქრისტიანული რელიგიის სხვა ელემენტები კი შედარებით მკრთალად აღინიშნა მათ იდეოლოგიაში.

ისმის კითხვა — რამ განაპირობა წარმართული რელიგიის პირობებში მთიელთა მსოფლმხედველობაში ქრისტიანული ჯვრის განსაკუთრებული ადგილი? აღნიშნული გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საქართველოს წარმართულ რელიგიაში და, კერძოდ, მთიელების სულიერ სამყაროში, ჯვრის გამოსახულება ოდითგანვე წარმართი ღვთაების მატერიალურ გამოსახულებად წარმოგვიდგება და ამდენად უცხო არ არის მათთვის.

ქართველი ტომების სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობაში, რომელიც, ბუნებრივია, საზოგადოების განვითარების ეტაპების მიხედვით საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა, შესაბამისად, არაერთხელ აღინიშნა რელიგიური კულტებისა და ჩვევა-წარმოდგენების შეცვლა. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა როგორც ადგილობრივი, ძველი და ახალი კულტების შერწყმა-ურთიერთშეთვისების, მათი ბუნების გარდაქმნის პირობებში, ისე ნაწილობრივ სხვა ქვეყნების რელიგიის ზეგავლენით. ამავე ნიადაგზე შეიმუშავდა ქრისტიანული იდეოლოგია და სიმბოლიკაც. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღო როგორც ადგილობრივი, წარმართული, ისე სხვა ქვეყნების რელიგიის მთელმა რიგმა ელემენტებმა. მოვლენათა ამ რიგს მიეკუთვნება ქრისტიანული რელიგიის ემბლემა — ჯვარი. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „ჯვრის სამსახური ჯერ კიდევ ქრისტიანობას არ ნიშნავს... ჯვარი არის სიმბოლო, რომლის საშუალებით ქრისტიანობა უგუება წინათვე არსებულ რწმენებს, განწყობილებასა და წარმოდგენებს“[17].

ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ქართველთა უძველესი

---

17 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 239.

მსოფლმხედველობის გამომხატველი რელიგიური გადმონაშთების შესწავლის საფუძველზე, ვ. ბარდაველიძე ჯვრის თაყვანისცემის გენეზისს წმინდა ხეთა და ტყეთა გაფეტიშების დროიდან ვარაუდობს. ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით, საქართველოში ხეთა თაყვანისცემა წარმოდგენილია თავისი განვითარების მესამე საფეხურში, როდესაც ხე ან ტყე უზენაესი ღვთაების სადგური იყო. მის მიერ მოყვანილი მრავალი მაგალითი (ჩერქეზთა მიერ დღესასწაულების გამართვა ხის ჯვრებთან წმინდა ტყეებში; აფხაზების მიერ წმინდა ტყეში დიდი რკინის ჯვარის თაყვანისცემა, აგრეთვე ტყეში, ამწვანებულ ადგილზე ხის ჯვრის დადგმა და მეგობრობის ნიშნად ჯვრების გაცვლა; რაჭაში — წმინდა ცაცხვებისათვის შემორჩენილი სახელწოდება „ჯვარი"; ნ. მარის გამოკვლევა იმის შესახებ, რომ სიტყვა „ჯვარი" თავდაპირველად ხის, კერძოდ, ალბათ, საკულტო ხის მნიშვნელობით იხმარებოდა და სხვ.)[18] საფუძველს გვაძლევს წარმართული სარწმუნოების განვითარების ამ უადრეს, ხეთა თაყვანისცემის პერიოდში, ჯვარი მივიჩნიოთ წარმართი ღვთაების სიმბოლურ გამოსახულებად.

კერძოდ რომელ ღვთაებას განასახიერებდა ჯვარი, ამის შესახებ ყურადსაღები მასალები შემოგვინახა როგორც საქართველოს ეთნოგრაფიულმა ყოფამ, ისე სხვა ხასიათის ძეგლებმა. ჯვრის გამოსახულება წარმოდგენილი იყო ბუნების დიდი დედის — ნანას — მზის ღვთაება ქალ-ბაბარის იპოსტასის კულტში, ასტრალური რელიგიის განვითარების უმაღლეს საფეხურზე[19]. ყურადსაღებია, რომ მზის ქალ-ღვთაება ბარბალეს ემბლემები, რომლებიც მზეს ასახავენ როგორც რგოლს, დისკოს, თვალს და სხვ., ცენტრალურ ელემენტად უმთავრესად ჯვრის გამოსახულებას შეიცავენ. ასეთია რაჭულ-ლეჩხუმური საახალწლო გვერგვი, გურული კალპიანი ჩიჩილაკი, ნეფე-დედოფლის გვირგვინი და სხვ.[20].

ჯვრის გამოსახულება გარკვეული რელიგიური კულტის სიმბოლოდ წარმოგვიდგება აგრეთვე მთიანი საქართველოს მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფაში შემუშავებულ ზნე-ჩვეულებებში და წარმართულ დღეობა-დღესასწაულების დროს გამართულ რიტუ-

---

18 ვ. ლ ო მ ი ა, ხის კულტისათვის საქართველოში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, III, ტფ., 1927, გვ. 172—177.

19 В. В. Б а р д а в е л и д з е, Древнейшие религиозные верования..., გვ. 175.

20 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებრივი ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 111.

ალში. ზოგჯერ იგი, როგორც კერპი, თაყვანისცემის ობიექტად გვევლინება. სხვა შემთხვევაში კი მას, როგორც მაგიურ საგანს განასახიერებენ და გარკვეულ ღვთაებას თუ მოვლენას სწირავენ — ჯვრისგამოსახულებიანი სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, დიდი ღმერთის სახელობის ჯვრის ფორმის კვერები, გონჯაობა და სხვ.[21].

ყურადსაღებია აგრეთვე, რომ საქართველოში, წარმართული რელიგიის განვითარების უმაღლეს საფეხურზე, მითრას კულტი იყო განვითარებული. მითრა, ნათელი და ბრწყინვალე ცის ღვთაება, ძლიერი მხედარი და მხედართა მფარველი, სიცოცხლისა და სიკეთის წყარო, მზედ და აჰურა-მაზდას თვალად იწოდებოდა[22]. ნიშანდობლივია, რომ მითრაისტულ სიმბოლიკაშიც სხივოსან მზეს განასახიერებდა ჯვარი[23].

ზემოთ მოყვანილი მასალა თვალსაჩინოდ ასახავს ჯვრის გამოსახულების მნიშვნელობასა და როლს ქრისტიანობამდე ბევრი წლით უფრო ადრე, ჯერ კიდევ ხეთა თაყვანისცემისა და ასტრალური რელიგიის გაფურჩქვნის პერიოდში, აგრეთვე უშუალოდ ქრისტიანობის წინარე ხანაში.

აქედან გამომდინარე, ქართველი ტომების უძველესი ნივთიერი კულტურის ძეგლებზე, კერძოდ, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის თრიალეთურ თიხის ჭურჭელზე[24] თუ მელიღელეს I სალოცავზე აღმოჩენილ თიხის საბეჭდავებზე[25], გამოსახული ჯვარი გარკვეული ღვთაების, კერძოდ მზის გამოსახულებად, მის მაგიურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ და არა შემთხვევით ორნამენტულ მოტივად. მით უფრო, რომ არქეოლოგიური მასალების მიხედვით მსჯელობა შეიძლება უკვე ადრებრინჯაოს ხანის ადამიანის გარკვეული დამოკიდებულების შესახებ ასტრალურ სამყაროსთან. ის ზებუნებრივი ძალა და მისგან წყალობის მიღების რწმენა, რომელსაც იგი მზესა და მთვარეს, აგრეთვე ცისკრის ვარსკვლავს ანიჭებს, დამაჯერებლად დასტურდება უკვე ძვ. წ. III

---

21 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 48—50, 74—75, 82.

22 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, ტფ., 1927, გვ. 181—182.

23 Я. А. Л е н ц м а н, Происхождение христианства, М., 1960, стр. 93.

22 Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, табл. XXIV.

25 К. Н. П и ц х е л а у р и, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

ათასწლეულში ხიზანაანთ გორისა და ამ პერიოდის სხვა ძეგლებზე გამოვლენილი საკულტო მასალების მიხედვით[26].

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული სარწმუნოებრივი მრწამსის ამსახველი უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლები და თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი რელიგიური ხასიათის გადმონაშთები, იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ ქართველი ტომების რელიგიურ მსოფლმხედველობაში, უძველესი დროიდან მოყოლებული, ჯვრის გამოსახულებას, როგორც სიმბოლურ ნიშანს, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. შეიძლება დავასკვნათ აგრეთვე, რომ ჯვრის გამოსახულება უმთავრესად მზესთან იყო ასოცირებული და მზის ღვთაებას განასახიერებდა.

ჯვარი, წინაქრისტიანული მოვლენა, ქრისტიანობამ გამოიყენა, გაავრცელა ხალხის ფართო მასებში და მას თავისი სამსახური დააკისრა. ჯვარი, ისევე როგორც ხატი, იყო გარკვეული ხარკი მმართველი წრეებისა იმ ფსიქოიდეოლოგიის მიმართ, რომლითაც ფართო მასები შეპყრობილი იყვნენ. ეს იყო ხარკი კერპთაყვანისმცემლური განწყობილების სასარგებლოდ, რომელიც უაღრესად ძლიერი იყო ხალხში[27].

ამრიგად, წარმართული რელიგიის კულტი და რიტუალი, სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით ცხოველთა და ადამიანთა გაფეტიშება და თაყვანისცემა, ღვთაების კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად პირადი ნივთების მსხვერპლად შეწირვა, უძველესი დროიდან მოყოლებული, „ქრისტიანობის მიღების" შემდეგაც, შეინარჩუნეს მთის მცხოვრებლებმა, დაუმატეს რა მას ქრისტიანული რელიგიის ემბლემა — ჯვარი. ამის საუკეთესო ილუსტრაციას შენაქოს შუა საუკუნეების საკულტო მასალა წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, შენაქოს საკულტო დანიშნულების მასალა შედგება რიტუალური და მსხვერპლად შეწირული ნივთებისაგან. ქვემოთ ეს მასალა თანმიმდევრულადაა განხილული დანიშნულების მიხედვით.

ჯ ვ რ ე ბ ი

ქრისტიანულ ეპოქაში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქრისტიანული რელიგიის ემბლემის — ჯვრის, ფორმების შემუშავებასა და მათ მხატვრულ გაფორმებას.

---

26 ი. კიკვიძე, ხიზანაათ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972, გვ. 85—88.

27 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

შენაქოში აღმოჩენილი ჯვრების საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექცია (30 ერთეული) გამოირჩევა ფორმათა და შემკულობის მრავალსახეობით. ჯვრები დამზადებულია ვერცხლის, ბრინჯაოსა და ტყვიისაგან.

ვერცხლის ჯვარი (ტაბ. III. 4) მხოლოდ ერთია, გულსაკიდი, მასიური. ჯვრის მრგვალგანივკვეთიანი მკლავები ბოლოებისაკენ გაფართოებულია, ქვედა მკლავი ოდნავ დაგრძელებული. ცენტრში ოვალური მოყვანილობის გრეხილურშემოყოლებული თვალბუდეა მირჩილული, რომელშიც ღია მწვანე მინის თვალი ზის. ყუნწი ფირფიტოვანია, ტალღურზედაპირიანი. ზომა: 3,5×3 სმ.

აღნიშნულ ჯვარს პირდაპირი ანალოგიები ვერ მოვუძებნეთ. ფორმით მისი მსგავსი ოქროს ჯვრები გავრცელებული ჩანს V—VI სს. ბიზანტიაში[28]. მაგრამ განსხვავებით შენაქოს ჯვრისაგან, ისინი ფუყეა და ამდენად ამ მასალის მიხედვით შენაქოს ჯვრის დათარიღება საფუძველს მოკლებული ჩანს.

ბრინჯაოს ჯვრები შენაქოს კომპლექსში 10 ეგზემპლარის რაოდენობითაა წარმოდგენილი. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ორი ნიმუში, რომლებზედაც ჯვარცმის კომპოზიციაა გამოსახული[29].

ერთი მათგანის (ტაბ. 1,1) მეტნაკლებად სწორი მკლავები ბოლოებში მომრგვალებულია. ვერტიკალური მკლავები ოდნავ დაგრძელებული აქვს. ყუნწი მასიურია, მრგვალბრტყელი მოყვანილობის, ზედაპირდაღარული.

ჯვრის კიდე გამოყოფილია მის ირგვლივ შემოხაზული ღა-

---

[28] Collection Helene Stathatos, III, Objects antiques at Byzantins, Strasbourg, 1963, გვ. 289, ტაბ. XLIV—232; M. C. Ross, Catalogue of the Byzantine and Early Medieval Antiquities in the Dumbarton Oaks Collection Vol. 2, 1965, Washington, გვ. 179, ტაბ. XCVII, 179;

А. В. Банк, Византийское искусство в собрании Советского Союза, М.-Л., 1966, ტაბ. 104, а; Katalog der Goldschmiede arbeiten von Berta Segall, Athen, 1938, გვ. 179, სურ. 273.

[29] ქრისტიანულ სამყაროში ჯვრები ქრისტეს გამოსახულებით V საუკუნიდან ვრცელდება. ჯვარცმის კომპოზიცია კი, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ჯვრებზე ჩნდება VI ს. უკანასკნელ მეოთხედში, მეორეთა აზრით —VII—IX სს. მანძილზე. იხ. А. Ф. Брокгауз, И. А. Ефрон, Энциклопедический словарь, т. XVI, СПб, 1895, გვ. 657. ნ. პოკროვსკის მიხედვით, ჯვარცმის გამოსახულება ვრცელდება V—VI სს. ყველაზე ადრეულ ნიმუშებად მიჩნეულია რომში, სანინას ეკლესიის კარზე, ბრიტანეთის სპილოს ძვლის ფირფიტებზე და 586 წ. სირიულ სახარებაში გამოსახული ჯვარცმა. იხ. Н. В. Покровский, Церковная археология в связи с историею христианского искусства, СПб, 1916, გვ. 12.

რით. ზედაპირზე დაბალი, მკვეთრი რელიეფით გამოსახულია ჯვარცმა. ქრისტე, ჭაბუკის სახით, მოცემულია en face. მას თავზე რელიეფურად ამაღლებული წრიული შარავანდი ადგას. სახის ოვალი მომრგვალებული აქვს. შუბლზე გადმოვარცხნილი თმა, რომელიც შუა ნაწილში წვეტისებურადაა ჩამოგრძელებული, უშუალოდ გადადის ქილვაშებსა და მოკლედ დაყენებულ წვერში. ჩაჭრილი ხაზით გამოყვანილი პირი თითქოს ოდნავ ღიაა. მოკლე და თხელი ცხვირის გამომხატველი ხაზები, მაღლა აზიდულ, მორკალულ წარბებში გადადის. ჩაჭრილი რკალებით გადმოცემული თვალები ქუთუთოებდაშვებულ შთაბეჭდილებას ქმნის. სახე მშვიდი გამომეტყველებისაა. კისერი მაღალია, დისპროპორციული.

ქრისტეს ტანთ აცვია სადა ქსოვილის, ფართოსახელოებიანი, მუხლს ქვემოთ ოდნავ ჩამოშვებული კაბა, რომელზედაც გულისპირი არ არის აღნიშნული. **კაბა წელს ზევით,** გულმკერდის არეში გადაჯვარედინებული, ნაკეცებიანი ლენტებითაა შემკული, რომლის ცენტრში ჯვარედინი ნიშანია გამოსახული. ნაკეცებიანი არშია კაბას შემოუყვება აგრეთვე ქობასთან. ფეხის ტერფები მარცხნივაა მიმართული. ფეხსაცმელი უქუსლო ჩანს, მაღალყელიანი. ზომა: 5,9×4,2 სმ.

მეორე ჯვარი (ტაბ. 1, 2) განსხვავებული ფორმისაა. მისი სწორხაზოვანი მკლავები ბოლოებისკენ ფართოვდებიან, ქვედა მკლავი კი საგრძნობლადაა დაგრძელებული. საკიდი ჩამოტეხილი უნდა ჰქონდეს.

ჯვარს გარშემო ღარი შემოუყვება. ზედაპირზე რელიეფურადაა შესრულებული ჯვარცმის კომპოზიცია. ქრისტე, პირველ ჯვარზე მოცემულ გამოსახულებასთან შედარებით, ხანდაზმულად გამოიყურება. იგი წარმოდგენილია en face. გამოსახულება კონტურული ხაზითაა აღნიშნული. სახე სხეულთან შედარებით მაღალი რელიეფითაა გადმოცემული. ქრისტე გამოსახულია უშარავანდოდ. შუა ნაწილში ოდნავ ჩამოგრძელებული თმა ფართო ულვაშებსა და გრძლად დაყენებულ წვერს უერთდება. ცხვირი განიერი აქვს. მისი გამომსახველი ხაზები მორკალურ წარბებში გადადის. რელიეფურად ამობურცული, მსხვილი თვალები დახუჭულია. სახის გამომეტყველება მშვიდია. ხელის მტევნები, რომლებიც ერთ შემთხვევაში სამი, ხოლო მეორე შემთხვევაში ოთხი თითით ბოლოვდება, დისპროპორციულადაა გადიდებული.

ქრისტეს სამოსი მდიდრულია. გრძელი, კოჭებამდე დაშვებული ნაკეცებიანი მოსასხამი მკერდზე შეკრულია დიდი ზომის სამკუთხა მოყვანილობის ბალთით თუ ღილით. სახელოები ვიწროა, ნაკეცებიანი. ნაკეცები ვერტიკალურად ჩაჭრილი ხაზებითაა გადმოცემული. ქობა რკალისებურად ჩანს შეჭრილი. ფეხები სხვადასხვა მიმართულებითაა განლაგებული. აცვია დაბალყელიანი ჩექმა. ფიგურა განლაგებულია ჯვრის ზედა მკლავის შუა ნაწილის ქვევით. თავს ზემოთ, კიდეებისაგან ღარით გამოყოფილი არე თავისუფლადაა დატოვებული. ზომა 4,3×5,8 სმ.

ზემოთ აღწერილი, ერთი შეხედვით თითქოს განსხვავებული, ჯვრები. მთელი რიგი არსებითი ნიშნებით ერთმანეთთან ამჟღავნებენ მსგავსებას. ჯვრები შესრულებულია ერთი და იგივე ტექნიკური და მხატვრული ხერხების გამოყენებით. ისინი დამზადებულია ჩამოსხმის წესით. გამოსახულებანი რელიეფურია, გრაფიკულად დამუშავებული, კერძოდ, სახის ნაკვთები, ტანსაცმლის დეტალები და სხვ. მეტ-ნაკლები სიღრმის ჩაჭრილი ხაზებითაა გამოყვანილი. კომპოზიციის სქემა ერთნაირია — გამოსახულებები ფრონტალურია. ისინი ხასიათდებიან პრიმიტივიზმით. დარღვეულია სხეულის პროპორციები, მკვეთრად გამოირჩევა დისპროპორციულად გადიდებული ცალკეული ნაკვთები — ხელის მტევნები, კისერი, თავი და სხვ. სხეულის ფორმა და პლასტიკურობა არ იგრძნობა. თმის ვარცხნილობა ორივე გამოსახულებას ერთნაირი აქვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორივე შემთხვევაში თავისებური, ინდივიდუალური მიდგომა ოსტატისა ჯვარცმის კომპოზიციის მიმართ. ქრისტე გამოსახულია დახუჭული თვალებით, მიცვალებული. ამავე დროს მის სახეზე სულიერი სიმშვიდეა აღბეჭდილი და არა წამებით გამოწვეული ტანჯვა. დიდებულია აგრეთვე მისი პოზა. იგი წარმოდგენილია ფრონტალურად, ერთ შემთხვევაში ჩაცმული შედარებით სადად, მოკლე ტუნიკაში, მეორე შემთხვევაში კი ნაკეცებიან, ძირამდე დაშვებულ კოლობიუმში.

ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშებში ჯვარცმის თემა საკმაოდ გავრცელებული ჩანს. აღსანიშნავია, რომ მაცხოვრის გამოსახვა ჯვარცმის კომპოზიციაში ორგვარად არის გადაწყვეტილი. ქართული ხელოვნების ნიმუშთა ერთ ჯგუფში მაცხოვარი გამოსახულია ცოცხალი — ღია თვალებით, სახის მშვიდი გამომეტყველებით. მეორე ჯგუფში კი — მიცვალებული — დახუჭული თვალებით, მოხრილი სხეულით, სახეზე აღბეჭდილი სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვით.

17098

აკად. შ. ამირანაშვილის აზრით, საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ბიზანტიაში, XI ს. დამლევამდე გავრცელებული იყო V საუკუნეში გამოთქმული ჯვარცმის განმარტება, რომლის მიხედვით მაცხოვარი ჯვარზე მიცვალებულის სახით არ შეიძლება ყოფილიყო გამოსახული, ვინაიდან იგი იყო „სიკვდილისა სიკვდილითა დამთურგუნველი", გამარჯვებული, ტრიუმფატორი. მხოლოდ XII ს. დასაწყისიდან, ძლევამოსილი, ცოცხალი მაცხოვრის მაგივრად, ისახება ქრისტე მიცვალებული — დახუჭული თვალებით, მოხრილი სხეულით[30].

სხვა დასკვნამდე მიდის აკად. გ. ჩუბინაშვილი. იგი დასავლეთ ევროპის მთელ რიგ მკვლევართა მონაცემებით და ქართული ძეგლების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ ჯვარცმაში მიცვალებული ქრისტეს გამოსახვა იწყება არა XII საუკუნიდან, არამედ VIII—IX საუკუნეებიდან[31].

შენაქოს ჯვრებზე ჯვარცმის კომპოზიცია თავისებურადაა გადაწყვეტილი და ამდენად, იგი არ მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ არც ერთ ჯგუფს. იგი თითქოს ამ ორი ჯგუფის დამაკავშირებელს წარმოადგენს, ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ქმნის — მაცხოვარი გამოსახულია ფრონტალურად, ჩაცმული, მართალია დახუჭული თვალებით, მაგრამ სრულიად მშვიდი სახით, ყოველგვარი სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვის ასახვის გარეშე. ამდენად, იგი ოსტატის ინდივიდუალური ჩანაფიქრის ნაყოფი ჩანს, რაც შეიძლება ლოკალურ თავისებურებას მიეწეროს.

ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. გ. ჩუბინაშვილის კვლევა, თვით კომპოზიციის და გამოსახულებათა თავისებურებანი, რომელთაც ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით შევეხებით, საფუძველს გვაძლევს აღნიშნული ჯვრები ქართული ქრისტიანული ხელოვნების ადრეულ პერიოდს დავუკავშიროთ.

აღსანიშნავია, რომ მაცხოვრის ორივე გამოსახულებას ანალოგები სინქრონულ მასალაში მოეძებნება. ამავე დროს ამ გამოსახულებათა დამახასიათებელი ცალკეული ელემენტები ზოგჯერ ერთ ძეგლშიც გვხვდება. მაგალითად, ჭარმაგი ქრისტეს გამოსახულება აძიკვის რელიეფის დიდებულებს ემსგავსება თმის ვარცხნილობითა და გრძელი წვერით. მათ განსაკუთრებით აახლოებს აგრეთვე თავის დაყენების მანერა. ორივე შემთხვევაში თავი, კისრის გარეშე,

---

30 შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბ., 1956, გვ. 28.

31 Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Текст, Тб., 1959, стр. 84—90.

გრძელი წვერის საშუალებით, უშუალოდ სხეულთანაა შერწყმული. ჭაბუკ ქრისტეს კი, აძიკვის რელიეფზე გამოსახული მაღალი საზოგადოების წარმომადგენლების მსგავსად, სამოსი გულმკერდის არეში გადაჯვარედინებული ლენტებით აქვს შემკული[32]. აღნიშნული დეტალი სამოსის შესამკობელს წარმოადგენს, რაც დასტურდება სადა და გოფრირებული ქსოვილის მონაცვლეობით. თმის ვარცხნილობაც ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

მაცხოვრის ორივე გამოსახულება ზემოაღნიშნული დეტალებით ემსგავსება აგრეთვე X ს. პარხლის რელიეფზე გამოხატულ პირებს[33].

ჭაბუკი ქრისტეს მსგავსად გადაჯვარედინებული ლენტებითაა შემკული აგრეთვე X ს. ჯახუნდერის ტრიპტიხის კარებზე გამოსახული ანგელოზების სამოსი. იდენტური ჩანს აგრეთვე მათი თმის ვარცხნილობა და თავის ირგვლივ ნახევარწრიულად გამოსახული შარავანდი. ჭარმაგი ქრისტესა და ჯახუნდერის ანგელოზების მსგავსება კი თავის დაყენების მანერაში გამოიხატება[34].

ჭაბუკი ქრისტე სახის ოვალით, თმის ვარცხნილობითა და მრგვალად დაყენებული წვერით ემსგავსება VIII—IX სს. მიჯნით დათარიღებულ უსანეთის სტელის გამოსახულებებს[35]. ერთგვარი პორტრეტული მსგავსება აღინიშნება აგრეთვე ჭაბუკ ქრისტესა და ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე გამოსახულ ქტიტორთა გამოსა-

---

32 ნ. ბერძენიშვილი აძიკვის რელიეფის წარწერას XI—XIII სს. ათარიღებს. დიდებულთა გამოსახულებანი კი, მისი დაკვირვებით, ჩაცმულობისა და გრძელი წვერის მიხედვით, უფრო ძველ იერს ატარებენ. მისი აზრით, აძიკვის რელიეფი შესრულებულია ამ კუთხეში ძველადვე შემუშავებული ტრაფარეტიდან, რომელიც აზნაურის პირობით პორტრეტს გამოხატავდა (იხ. ნ. ბერძენიშვილი, აძიკვის წარწერის გამო, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 277—281). რ. შმერლინგი აძიკვის წარწერას X—XI სს. მიჯნას აკუთვნებს. დიდებულთა გამოსახულებებს კი IX—X სს. რელიეფებთან აკავშირებს და აღნიშნავს: „Приходится вспомнить, что, имея дело с произведениями мастеров из народа, случается нередко сталкиваться с ложной архаичностью, которая легко может быть принята за истинную (იხ. Ренэ Шмерлинг, Архитектурные памятники района древних селений Адзикви и Бза, მაცნე, № 2, თბ., 1969, გვ. 120—121).

33 ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, რ. შმერლინგის გამოცემა, თბ., 1954, გვ. 34.

34 Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Иллюстрации, Тб., 1959, табл. 48.

35 Т. Барнавели, К датировке стелы Усанети, მაცნე, № 1, თბ., 1969, გვ. 121—202, ტაბ. I, II.

ხულებებს შორისაც, რომლებიც გ. აბრამიშვილის გამოკვლევით ტაძრის რესტავრაციის პერიოდს — X ს. მიეკუთვნებიან[36].

ჭარმაგი ქრისტეს გამოსახულება მთელი რიგი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებით, როგორიცაა—თავის დაყენების მანერა, თმის ვარცხნილობა და გრძელი წვერი, ნაკეცებიანი სამოსი და დისპროპორციულად გადიდებული ხელის მტევნები — მსგავსია აშოტ კურაპალატის რელიეფის გამოსახულებებისა ოპიზიდან (IX ს. I ნახ.)[37]. თმის ვარცხნილობითა და დისპროპორციულად გადიდებული ხელის მტევნებით იგი პარალელს პოულობს აგრეთვე IX—X სს. კაიშაურის მემორიალური ხასიათის ბაზალტის ჯვარზე გამოსახული ჯვარცმული მაცხოვრის რელიეფთან[38]. აღსანიშნავია მისი პორტრეტული მსგავსება IX ს. პირველი მესამედის გველდესის კანკელის გამოსახულებებთანაც[39].

შენაქოს ჯვრებს ჩვენ მიერ პარალელებად მოყვანილ რელიეფურ ქანდაკებებთან აახლოებს აგრეთვე მხატვრულ-სტილისტიკური ერთიანობა — საბოლოო, მხატვრულად ჩამოყალიბებულ სახეს ისინი იღებენ მხოლოდ გრაფიკული ხაზებით დამუშავების შემდეგ.

არქეოლოგიური მასალებიდან შენაქოს ჯვრებს ემსგავსება IX—X სს. ჯვარცმისგამოსახულებიანი ვერცხლის ჯვარი ჩეხეთიდან. მასზე ქრისტე გამოსახულია ფრონტალურად, ტუნიკაში ჩაცმული. თავის დაყენების მანერა და გრძელი წვერი, რომელიც სამოსს უერთდება, ჯვარზე ფიგურის მდებარეობა, დისპროპორციულად გადიდებული ხელის მტევნები განსაკუთრებით აახლოებს მას ჭარმაგი ქრისტეს გამოსახულებასთან[40]. ზემოდასახელებული ნიშნებით, აგრეთვე ნაკეცებიანი კოლობიუმით მას ემსგავსება აგრეთვე ბულგარეთში, აბობა-პლისკაში აღმოჩენილი VIII—IX სს. ენკოლპიაზე მოცემული ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულება[41].

---

36 Г. Абрамишвили, Два строительных периода Атенского Сиона, მაცნე, № 1, თბ., 1972, გვ. 54, ნახ. 19.

37 ნ. ალადაშვილი, რელიეფი ოპიზიდან, აშოტ კურაპალატის გამოსახულებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 7, თბ., 1954, გვ. 555.

38 Н. Чубинашвили, Рельеф «Вознесения креста» на каменном кресте из селения Качагани, ქართული ხელოვნება, 6, თბ., 1963, გვ. 13.

39 Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 69—79, 80, ტაბ. 4—7.

40 Iosef Poulik, Pevnost v luznim lese, Mlada fronta, Praha, 1967, გვ. 133—134.

41 Известия русского археологического института в Константинополе, т. X, София, 1905, стр. 288—289; Абоба-Плиска, Альбом к X тому Извес-

ზემომოყვანილი პარალელური მასალა — ქართული რელიეფური ქანდაკების თუ ჭედური ხელოვნების ნიმუშები, აგრეთვე სხვა ქვეყნების ძეგლები, ზოგადად VIII—X სს. ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. ამასთან, როგორც დავინახეთ, მაცხოვრის გამოსახულებათა პორტრეტული მსგავსება ანალოგიურ მასალასთან გამოიხატება არა მარტო ზოგად ფორმაში, არამედ მთელი რიგი ცალკეული დეტალებითაც. სწორედ ამ ცალკეულ დეტალთა გათვალისწინება გვაძლევს საფუძველს შენაქოს ჯვარცმისგამოსახულებიანი ჯვრები უფრო კონკრეტულად — IX—X ს. დასაწყისით დავათარიღოთ.

VIII—IX სს. ქართული ხელოვნების განვითარების გეზი იცვლება. იწყება გარდამავალი ხანა, ახალი, შემოქმედებითი ძიების პერიოდი — საბოლოოდ წყდება კავშირი ძველ, ანტიკურ ტრადიციასთან და ქართული ხელოვნება მკაფიოდ გამოხატულ ეროვნულ ხასიათს იღებს[42].

შენაქოს ჯვარცმისგამოსახულებიანი ჯვრები ქართული ხელოვნების განვითარების გარდამავალი ეპოქის ძეგლებია. მათზე მკაფიოდ აისახა აღნიშნული ეპოქის მონაპოვარი — ქართველი ოსტატის შემოქმედებითი თვითმყოფადობა. გამოსახვის თავისებური სტილი და შესრულების მანერა, სხეულის ზოგიერთი ნაკვთის ექსპრესიულობა და სხვა ნიშნები, მჭიდროდ აკავშირებს მცირე ხელოვნების ამ ნიმუშებს იმდროინდელ ქართულ რელიეფურ ქანდაკებასთან თუ სხვა ძეგლებთან. მხატვრულ-სტილისტიკურ ერთიანობასთან ერთად ამ ძეგლებს ერთმანეთთან განსაკუთრებით აახლოებს კოსტუმის მსგავსება, თმის ვარცხნილობა, წვერის დაყენების წესი და სხვ. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ წმინდანთა იკონოგრაფია ამ პერიოდში განზოგადოებული სახითაა წარმოდგენილი — მათი ჩაცმულობა თუ თმის ვარცხნილობა უმთავრესად დეტალურად იმეორებს საერო პირთა სამოსსა და სახეებს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ამ პერიოდის ქართუ-

---

тий русского археологического института в Константинополе, Вена, 1905, табл. VI, 3.

42 Г. Н. Чубинашвили, Грузинское искусство VIII и IX веков, его характер и историческое место, Сокращенная сетнографическая запись доклада на XI научной сессии Отд. Обществ. наук АН Грузинской ССР, 1943 г., Н. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1972, გვ. 32—39, 27—31; ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს ძველი საკულტო-მემორიალური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1949, გვ. 159, 175—176, 229.

ლი ხელოვნება სინამდვილის რეალისტურ გადმოცემას ისახავს მიზნად. იგი ქართული ეროვნული შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

ზემოაღწერილ ჯვრებს გარდა შენაქოს საკულტო კომპლექსში კიდევ 8 ბრინჯაოს ჯვარი შედის. ჯვრები განსხვავებული, მეტად საინტერესო ფორმისაა. მათი ზედაპირი შემკულია სრულიად მარტივი, გრავიურებული ან რელიეფური, ერთ შემთხვევაში კი ტვიფრული ორნამენტული სახეებით.

ორი გულსაკიდი ჯვარი (ტაბ. II, 3) საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ცრემლებიანი ანუ ბურთულებიანი ჯვრის ტიპს მიეკუთვნება. ერთი იმათგანი რელიეფურპირიანია. ორნამენტი გამოსახავს ცენტრიდან გამომავალ ორად გატოტვილ სხივებს, რომლებიც გარდიგარდმო ნაკდევებისაგან შედგებიან. ჯვრის მკლავები მკვეთრადაა გაფართოებული და მათი წვერები ბრტყელი, წვეთისებური მოყვანილობის შვერილებით ბოლოვდება. ქვედა მკლავი უმნიშვნელოდაა დაგრძელებული. ზომა: 5,2×4,3 სმ.

მეორე ჯვარს (ტაბ. III, 2) ოდნავ გაფართოებული მკლავები აქვს, რომელთა წვერები რელიეფურად გამოყოფილი ნახევარსფეროებითაა დაბოლოებული. ზედა მკლავი ოდნავ დაგრძელებულია. ჯვრის ზედაპირი შემკულია მარტივი, გრავირებული ორნამენტით— ამოღარულია ჯვრის სახე, ცენტრსა და ყოველი მკლავის ბოლოში კი — წერტილ-წრეები. ზომა: 4,3×2,8 სმ.

ბურთულებიანი ჯვრის გამოსახულება ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე, განსაკუთრებით კი საკულტო არქიტექტურაში — მცხეთის ჯვრის მცირე საყდარი (VI ს.), წრომი (VII ს.), ზემო სკრა (X ს.), სცისი (X—XI სს.), ბედია (X—XI სს.), პარხალი (X ს.), დისევი (X ს.)[43], კაცხი (X ს.)[44], საკანე (XI ს.)[45], და სხვა მრავალი. ყურადსაღებია, რომ ამგვარი ჯვარი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება X—XI სს. ქართულ ხუროთმოძღვრებაში და შეიძლება ითქვას, დამახასიათებელია კიდევაც ამ საუკუნეების ძეგლებისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე ბურთულებიანი ჯვრის გამოსახულება

---

43 ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, გვ. 30, 32, 37, 43, 45, 47, 56.

44 ვ. ბ ე რ ი ძ ე, კაცხის ტაძარი, ქართული ხელოვნება, 3, თბ., 1950, გვ. 93.

45 ვ. ბ ე რ ი ძ ე, საკანე, ქართული ხელოვნება. I, თბ., 1942, გვ. 82, სურ. II.

ჩუქურთმებიან ხის კარზე ლაშე-ვანიდან (X ს. ბოლო — XI ს. დასაწყისი)[46]. ამ ფორმის ერთი ვერცხლის გულსაკიდი ჯვარი აღმოჩნდა რუსთავში, ადრეფეოდალური ხანის სამარხში[47]. გვხვდება ისინი აგრეთვე ანისსა და დვინში—X—XIII სს. არქეოლოგიურ მასალებს შორის[48], აგრეთვე მინგეჩაურში—VIII—IX სს. ეკლესიაში[49]. ელენე სტატატოსის კოლექციაში შესული ამ ფორმის ჯვარი V—VII სს. მიეკუთვნება[50]. IV—VI თარიღდება მსგავსი ჯვარი აკროკორინთოდან. კორინთოს ორი ჯვრიდან კი ერთი X—XII სს. მიეკუთვნება, მეორე კი—XI ს. I ნახევარს[51]. მსგავსი ჯვრის ფრაგმენტი, დათარიღებული X—XII სს. მიკვლეულია აგრეთვე აბობა-პლისკაში[52].

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ჯვრის ფორმის გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძალიან დიდია და ამდენად მათი კონკრეტული დათარიღება ჭირს.

აღსანიშნავია შენაქოს კომპლექსში შესული ორი სავსებით იდენტური ჯვარი (ტაბ. II, 1), რომელთა ოთხივე, ფუძისაკენ გაფართოებული მკლავის წვერები დაბოლოებულია სამი პირამიდისებურად განლაგებული ბურთულით. ჯვრის ვერტიკალური მკლავები დაგრძელებულია, ზედაპირი რელიეფური აქვს. ზომა: 5,7×3,7 სმ.

საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან ანალოგიური ფორმის ჯვრები გამოსახულია წრომში (626—634 წწ.)[53] და ერედ-

---

46 Н. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву (перелома X—XI вв.), Тб., 1968, стр. 100.

47 М. М. Иващенко, Отчет руставских раскопок 1944—46 гг., ხელნაწერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის არქივი.

48 სომხეთის სახ. მუზეუმი, ფეოდალური ხანის ფონდი ინვ. № 123/124. 123 (1244, 1917) 16:52.

49 Р. М. Вандов, В. П. Фоменко, Средневековый храм в Мингечауре, Материальная культура Азербайджана, II, Баку, 1951, გვ. 93—95, ნახ. 15, 16.

50 Collection Helene Stathatos, III, გვ. 290, ტაბ. XLVI, 241.

51 G. R. Davidson, The miron ocjects, Corinth, vol. XII Prinston—New Jersey, 1952, გვ. 256, ტაბ. 110, 2070, 2071, 2072.

52 Известия Русского археолгического института в Константинополе, т. X, Альбом Абоба-Плиска, стр. 290, ტაბ. VI, 6.

53 ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, გვ. 32.

ვის ეკლესიის ფასადზე (906 წ.)[54]. ერთი ამგვარი ჯვარი აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად ანისში (X—XIII სს.)[55].

შენაქოს ჯვრებს შორის ფორმის თავისებურებით განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ერთი ეზგემპლარი (ტაბ. I, 3), რომლის ტანი ბურთულისაგანაა შედგენილი, ხოლო ქვედა და ჰორიზონტალური მკლავები კი სამ-სამი განშტოებული ბურთულით ბოლოვდება. ჯვრის ქვედა მკლავი დაგრძელებულია (ერთი ბურთულით). ყუნწი დატანილია ზედა მკლავის კიდურა, ოდნავ დაბრტყელებულ ბურთულაზე. ზომა: 4,4×3,6 სმ.

ამ ჯვრის ზუსტი ანალოგი ჩვენთვის არ არის ცნობილი. ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებენ მასთან XI—XII სს. სპილენძისა და ტყვიის ჯვრები კორინთოდან. სპილენძის ჯვრის ჰორიზონტალური მკლავები და ვერტიკალური მკლავების ბოლოები სფერული ბურთულებისაგან შედგება. განსხვავებით შენაქოს ჯვრებისაგან ისინი სადა ფორმისაა, ბოლოში შვერილების გარეშე[56].

შენაქოს სპილენძის ჯვრებს შორის გვხვდება აგრეთვე სრულიად მარტივი ფორმის ჯვრები. ერთი მათგანი (ტაბ. I, 5) დაუდევრადაა გამოჭრილი სპილენძის ბრტყელი ფირფიტისაგან. მას საკიდი არა აქვს. ჯვრის უმნიშვნელოდ განსხვავებული მკლავები მცირედაა გაფართოებული. ზედაპირი შემკულია ღრმად ამოღარული წერტილ-წრეებით. ზომა: 3,2×3 სმ.

წერტილ-წრის ორნამენტი საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მოტივი ჩანს სხვადასხვა მასალისა და ფორმის ჯვრების შესამკობად ადრეულ და განვითარებულ შუასაუკუნეებში. მაგალითად, წერტილ-წრის ორნამენტით შემკულია კორინთოში აღმოჩენილი სხვადასხვა ფორმის სპილენძის, ძვლისა და სტეატიტის ჯვრები[57], ელენე სტატატოსის ბიზანტიური ძეგლების კოლექციაში შესული სტეატიტის ჯვრები[58], სხვადასხვა მასალისაგან

---

54 რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრების ძეგლი, ქართული ხელოვნება, 4, თბ., 1955, ტაბ. 41, 42.

55 სომხეთის სახ. მუზეუმი, ექსპოზიცია, ინვ. № 123—1251.

56 G. R. D a v i d s o n, დასახ. ნაშრ., ტაბ. 110—2078, 2079.

57 G. R. D a v i d s o n, დასახ. ნაშრ., ტაბ. 110—2071, 2073, 2074, 2080—2082. ტაბ. 111—2094, 2096, 2097.

58 Collection Helene Stathatos, III, გვ. 290, ტაბ. XLVI—245.

დამზადებული ბიზანტიური ჯვრები ბალტიმორეს მუზეუმიდან[59]. სპილენძის ჯვრები ანისის კოლექციიდან[60] და სხვ.

შენაქოში აღმოჩენილი სპილენძის ორი ჯვარი დამზადებულია თხელფურცლოვანი, მოგრძო, სწორკუთხა ორი ფირფიტისაგან, რომლებიც ერთმანეთთან მანჭვალის საშუალებითაა დამაგრებული. ჯვრები უყუნწოა. ერთი მათგანი (ტაბ. III, 1) შემკულია ტვიფრული ტექნიკით შესრულებული რელიეფური ბურცობების სამი რიგით. ზომა: 4×4,6. მეორე კი — ამოღარული წერტილებისაგან შედგენილი გეომეტრიული სახით. ზომა: 4,4×4,4 სმ. ამ ჯვრების ანალოგები არქეოლოგიურ მასალებს შორის არ შეგვხვედრია.

ზემოგანხილული სპილენძის ჯვრების უმრავლესობა ჩამოსხმის წესითაა დამზადებული. ისინი მაღალმხატვრულ, დახვეწილ ნახელავს წარმოადგენენ. მხოლოდ უკანასკნელი სამი ნიმუში ლითონის სხვადასხვა სისქის ნაჭედი ფურცლისაგანაა გამოჭრილი.

ტყვია ერთ-ერთი იმ მასალათაგანია, რომელიც შუა საუკუნეებში ფართოდ გამოიყენებოდა ჯვრების წარმოებაში, განსაკუთრებით კი მცირე ზომის გულსაკიდი ჯვრების დასამზადებლად. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ტყვიის ჯვრებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მაგალითად, ნორმანები, ინგლისელები და ფრანკები ტყვიისაგან უხეშად გამოჭრილი ჯვრის ფორმის ფირფიტებს მიცვალებულს გულზე ადებდნენ[61].

შენაქოს ტყვიის ჯვრები მცირე ზომისაა, ერთის გამოკლებით ყველა გულსაკიდია. ისინი უხეში ნახელავია, აკლიათ შესწორება-დამუშავება. ჯვრები სხვადასხვა ფორმისაა. მათ ზედაპირზე უმთავრესად დაბალი რელიეფით შესრულებული სხვადასხვა სახის ორნამენტია მოცემული.

თავისი ფორმით მეტად საინტერესოა უყუნწო ჯვარი, რომლის მკლავები დაბოლოებულია მათ მიმართ პერპენდიკულარულად განლაგებული ურთიერთპარალელური შვერილებით (ტაბ. II, 5). ივი ძალზე დაუდევარი ნახელავია — ზედაპირი ხორკლიანი აქვს.

---

[59] The Walters Art Gallery, Early christian and byzantine art in exhibition held at the Baltimore Museum of art, organized by the Walters art Gallerey, Baltimore, 1947, ტაბ. LXVIII, 449.

[60] სომხეთის სახელმწიფო მუზეუმი, ფეოდალური ხანის ფონდი. ინვ. № 123—1246, 1248, 1250.

[61] Neuveav Larousse illustré. ტ. III, წ. IV, გვ. 418.

კიდეებზე შერჩენილია ნაწიბურები, მკლავები ყველა სხვადასხვა ზომისაა, არათანაბარია აგრეთვე შვერილები. ზომა: 2,6×3,4 სმ.

აღსანიშნავია, რომ ამ ფორმის ჯვარი საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებიდან მხოლოდ X ს. დავით კურაპალატის მონეტაზეა გამოსახული. ამასთან იგი ხშირად გვხვდება ბიზანტიის მატერიალური კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე, მათ შორის ნუმიზმატიკურ მასალაზე. ბიზანტიურ მონეტებზე ამგვარი ჯვარი პირველად ჩნდება იმპერატორ ფეოდოსე II დროიდან — V ს. დასაწყისში[62]. VII საუკუნიდან პარალელურად გვხვდება აგრეთვე მისი სახესხვაობა — ჯვრის ნახაზი უცვლელია, მხოლოდ შვერილები ბურთულებითაა დაბოლოებული. VII ს. მეორე ნახევრიდან ზემოაღნიშნული ჯვრის გამოსახულება შედარებით იშვიათია, ხოლო VII ს. ბოლოდან იგი თითქმის აღარ გვხვდება[63].

ამ ფორმის ჯვარი გამოსახულია აგრეთვე ქალაქ გრადოს ეკლესიაში დაცულ VI ს. პიკსიდის სახურავზე. მასთან დაკავშირებით ნ. კონდაკოვს საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული: «Судя по короткой ручке, крест этот, вероятно, служил формою для напрестольного креста, который был также профессиональным и устанавливался позади престола в особых закрепах»[64]. როგორც ვხედავთ, ნ. კონდაკოვის აზრით, ამ ფორმის ჯვარს განსაკუთრებული, სახვლმწიფოებრივ-ემბლემური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. ამის ერთგვარ დადასტურებად მიგვაჩნია აგრეთვე საუკუნეების მანძილზე მისი გამოსახვა ბიზანტიურ მონეტებზე.

დავით კურაპალატის მონეტის ზურგზე გამოსახული ამ ფორმის ჯვარი ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზეა აღმართული. მის ტოტებს შორის კი მოთავსებულია მთავრული ასოებით შესრულებული ტაო-კლარჯეთის მფლობელის ბიზანტიური ტიტული — „კურაპალატი“. X ს. დამლევისათვის, როდესაც არაბთა ძლიერება შესუსტდა, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია შეიცვალა. მან მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა დაამყა-

---

62 Н. Н. Толстой, Византийские монеты, вып. I, СПб., 1912, გვ. 67. ტაბ. 5—16.

63 Н. Н. Толстой, Византийские монеты, вып. VII, VIII, IX. თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახ. მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966, ტაბ. XV.

64 Н. П. Кондаков, Иконография Богоматери, т. I, СПб., 1917, стр. 296.

რა ერთმორწმუნე ბიზანტიასთან, რაც ქართულ მონეტებზე მუსლიმანური წარწერებისა და სიმბოლოების გაქრობით და მათ მაგივრად ჯვრისა და ბიზანტიური ტიტულატურის გაჩენით აღინიშნა[65]. ეს ფაქტი საქართველოს ორიენტაციის ოფიციალური აღიარება იყო.

როგორც აღვნიშნეთ, შენაქოს ზემოგანხილული ჯვარი ზედმიწევნით იმეორებს დავით კურაპალატის მონეტაზე გამოსახული ჯვრის ფორმას. ამის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ იგი საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული დაახლოების პერიოდს — X ს. ბოლოს მიეკუთვნება.

ტყვიის ჯვრებს შორის საინტერესოა ორი ეგზემპლარი, რომელთა ოთხივე გაფართოებული მკლავი ადამიანის თავის სტილიზებული გამოსახულებითაა შემკული (ტაბ. II, 2). ჯვარს ზედა მკლავი ოდნავ დაგრძელებული აქვს. ადამიანის სახის ოვალი, ნაკვთები, თმები და ნახევარსფეროდ ცენტრში, დაბალი რელიეფითაა გადმოცემული. ზომა: 3,7×3,4 სმ; 3,2×2 სმ.

ანალოგიური ჯვარი ჩვენთვის არ არის ცნობილი. ადამიანის თავის გამოსახულება კი, შესრულების მანერითა და სტილით, ახლო პარალელს პოულობს სამთავროს ადრეფეოდალური ხანის სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯურების ერთ ჯგუფზე მოცემულ გამოსახულებებთან. ერთი სამაჯური (სამთავროს ჩრდილოეთი უბნის 720 სამარხიდან) მასთან ერთად აღმოჩენილი მარჯნისთავიანი საკინძის მიხედვით კონკრეტულად VIII ს. თარიღდება (უკანასკნელი 619-ე ქვის სამარხში VIII ს. არაბულ მონეტასთან ერთად არის ფიქსირებული)[66]. ამგვარი სამაჯური მიკვლეულია აგრეთვე 224-ე ქვისსამარხში, კოლბისებური და ხორკლიანი სანელსაცხებლების თანხლებით, რომელთა თარიღი ზოგადად VI—VIII ს. განისაზღვრება[67]. გამოსახულებათა დათარიღების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მათი თმის ვარცხნილობის გათვალისწინება. წინ, შუბლზე გადმოვარცნილი თმა მათ ძალზე აახლოებს შენაქოს ჯვრებზე გამოსახულ ქრისტესთან და VIII—X სს. ქართული რელიეფური ქანდაკების მთელ რიგ ნიმუშებთან (უსანეთი, გველდესი, ოპიზა და სხვ.). ყოველივე

---

65 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969 წ., გვ. 61—62, ტაბ. IV, 47.

66 ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე. ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967. ტაბ. 2, გვ. 76.

67 ი ქ ვ ე, გვ. 79.

ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს აღნიშნული ჯვარი VIII ს. და მისი მომდევნო ხანით დავთარიღოთ.

ანალოგიური ფორმის ჯვარი შენაქოს კომპლექსიდან (ტაბ. II, 6) შედარებით მარტივი ორნამენტითაა შემკული. კიდის ირგვლივ შემოვლებული წვრილად დაკბილული ჩარჩო, აგრეთვე ცენტრსა და მკლავებზე გამოსახული სხვადასხვა ფორმის ბურცობები, ზემოთ განხილული ჯვრის მსგავსად, დაბალი რელიეფითაა შესრულებული. ჯვარს ცალი მკლავი ჩამოტეხილი აქვს. ზომა: 3×2,5 სმ.

აღსანიშნავია, რომ ამ ჯვრის ბურთულისებური საკიდის ყუნწი არ არის ბოლომდე გახვრეტილი. ორივე მხარეს დანიშნულია ნახვრეტისათვის განკუთვნილი ადგილი. ცალ მხარეზე დაუწყიათ კიდევაც გაბურღვა, მაგრამ ბოლომდე არ მიუყვანიათ და ნახევარფაბრიკატის სახით დაუტოვებიათ.

ანალოგიური ფორმის, წრეში ჩასმული ტყვიის ჯვრები კორინთოდან და ოლიმპოდან X საუკუნით და უფრო გვიანი ხანით თარიღდებიან. ერთ-ერთ მათგანს დაბალი რელიეფით შესრულებული ბადისებური ორნამენტი ამკობს[68]. საყურადღებოა, რომ მსგავსი ორნამენტი გამოყვანილია შენაქოში აღმოჩენილ ამულეტური ხასიათის საკიდზე (ინვ. 34—64:252).

გულსაკიდი ჯვარი (ტაბ. I, 6), ცენტრში მრგვალი თვალბუდით, შემკულია სამი მომრგვალებული შვერილით მკლავების ბოლოებზე. ჯვრის ვერტიკალური მკლავები დაგრძელებულია. ცენტრიდან გამოსული რელიეფური წერტილების სამი რიგიდან ორი, კიდურა, შვერილებში მოკაუჭებულია, შუა კი რომბით ბოლოვდება. ჯვარი გაცვეთილია, კიდე ზოგ ადგილებში ჩამოტეხილი აქვს. ზომა: 4,7×3,7 სმ.

ნახევარწრიული, სამმაგი შვერილებით ბოლოვდება აგრეთვე ტყვიის მეორე გულსაკიდი ჯვრის მკლავები (ინვ. 34—64:185). მისი ზედაპირი შემკულია სიმეტრიულად განლაგებული ნახევარსფეროებით. ჯვარს ზედა მკლავი ოდნავ ჩამოტეხილი აქვს. იგი ნაკლულია. ზომა: 6×4,5 სმ.

ერთი ჯვრის ბოლომომრგვალებული მკლავები შუა ნაწილში მოგრძო ფორმის შვერილებს შეიცავს (ტაბ. II, 4). ჯვრის ზედაპირზე დაბალი რელიეფით შესრულებულია სიმეტრიულად განლაგებული წერტილების, ნახევარწრეების, ჯვარედინი და სხვა სა-

---

68 G. R. Davidson, დასახ. ნაშრ., ტაბ. 110—2087, 2088.

ხეებისაგან შედგენილი რთული ორნამენტული მოტივები. ზომა: 4,6×6 სმ.

ფორმით ამავე ტიპს მიეკუთვნება და მსგავსი შემკულობით ხასიათდება აგრეთვე ფრაგმენტების სახით წარმოდგენილი რამდენიმე ჯვარი (ინვ. 34—64:17, 34—64:188, 34—64:189).

ტყვიის ჯვრებს შორის გვხვდება ცრემლებიანი ანუ ბურთულებიანი ჯვრის ორი ეგზემპლარი (ტაბ. I, 4). ისინი, სხვა ჯვრების მსგავსად, დაუდევრადაა ნახელავი.

აღნიშნულ პერიოდში ჯვარი აღარ წარმოადგენს ადრექრისტიანულ ხანაში შემუშავებულ ტრაფარეტს. აქ უკვე კარგად ჩანს ოსტატის ფანტაზია. სწორედ ამიტომ შენაქოს ჯვრები უმთავრესად იმეორებენ რა იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ჯვრების ფორმასა და დეკორს, ამავე დროს ზოგი მათგანი ადგილობრივ, თვითმყოფად ხასიათს ატარებს. მაგალითად, თავისებურებით გამოირჩევა ჯვარცმისგამოსახულებიანი ბრინჯაოს ჯვრები, ტყვიის ჯვრები ადამიანის თავის სტილიზებული გამოსახულებით და სხვ. ამ თავისებურებათა გათვალისწინება, აგრეთვე ჯვრებს შორის ნახევარფაბრიკატის აღმოჩენა, საფუძველს გვაძლევს შენაქოს ჯვრები ადგილობრივ ნაწარმად მივიჩნიოთ. სხვათა შორის, ამაზე ტყვიის ჯვრების შესრულების დაბალი ხარისხი — დაუდევარი ნახელაობაც მიუთითებს.

ზოგ შემთხვევაში ქართული ჯვრების ახლო მსგავსება ბიზანტიურთან, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების გზებზე, აგრეთვე ამ ქვეყნებს შორის არსებულ კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობაზე მიუთითებს. ამ მრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ტყვიის ჯვარი ურთიერთპარალელური შვერილებით მკლავების ბოლოში.

ზემოაღნიშნული ტყვიის ჯვრების კონკრეტული დათარიღება პირდაპირი ანალოგიური მასალის უქონლობის გამო ჭირს. ამ შემთხვევაში მათი ზოგადი თარიღი კომპლექსში შესული დათარიღებული ჯვრების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს. განხილული ჯვრების ნაწილი ჩვენ მიერ საკმაოდ კონკრეტულად არის დათარიღებული. მაგალითად, ჯვარცმისგამოსახულებიანი ნიმუშები რელიეფის ხასიათისა და სხვა ნიშნების მიხედვით IX—X ს. დასაწყისს მივაკუთვნეთ. ტყვიის ჯვარი, რომლის მკლავები დაბოლოებულია მათ მიმართ პერპენდიკულარულად განლაგებული შვერილებით, დავით კურაპალატის მონეტის მიხედვით X ს. ბოლოთი დავათარიღეთ. VIII ს. თარიღდება ადამიანის თავის სტი-

ლიზებული გამოსახულებებით შემკული ტყვიის ჯვრები და ა. შ. როგორც ვხედავთ, ზემოჩამოთვლილი ჯვრების ზოგადი თარიღი VIII—X სს. ფარგლებში თავსდება. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ შენაქოს სხვა ჯვრებსაც ამ პერიოდს მივაკუთვნებთ.

ზომორფული ქანდაკებები

შენაქოს საკულტო კომპლექსში სამი მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკება შედის — ცხენოსნის, ირმისა და ფრინველის. სამივე გამოსახულება ქართულ წარმართულ რელიგიაში სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და გარკვეულ მოვლენებთან იყო დაკავშირებული.

ცხენოსნის ქანდაკებას (ტაბ. IV, 3) ცალი მხარე რელიეფური აქვს, მეორე — ბრტყელი, რომელზედაც ორი სამაგრია (შესაძლებელია ბალთა იყოს). ცხენის ფიგურა მარცხნივაა მიმართული. იგი ტლანქია, მყარად დგას წყვილად გაერთიანებულ ფეხებზე. აქვს მაღალი კისერი, დისპროპორციულად გადიდებული ყურები და ქვედა ყბა. გავა რელიეფურადაა გამოყოფილი. ძუა გრძელია, ვერტიკალურად დაშვებული. სახის ნაკვთები არ არის აღნიშნული.

ადამიანის გამოსახულება მოცემულია en face[69]. მისი სხეული მაღლაა აზიდული, თითქოს სანახევროდ ზის კიდევაც ცხენზე. არაპროპორციულად გადიდებული ცალი ხელით, რომელიც ცხენის სხეულთანაა შერწყმული, ეყრდნობა ცხენის კისერს, მეორე ხელი არა აქვს. გაურკვეველია ცხენის ზურგზე მოცემული შვერილის დანიშნულება. იგი ან ხელის ნაწილია, ან უნაგირის კეხი. ფიგურა შიშველია. თავი, რომელზედაც სახის ნაკვთები არ არის აღნიშნული, უშუალოდ მხრებს ადგას. განიერი გულ-მკერდი ამობურცულია, მუცელი გამოზნექილი. გამოსახულების შესრულების მანერა პრიმიტიული და ძალზე სქემატურია. სხეულის ზოგიერთი ნაწილი, მაგალითად, კისერი, ტერფები, ხელის მტევნები და სხვ. არ არის გამოხატული. ზომა: 3,2×2 სმ.

ცხენოსნის მხატვრული სახე მყარადაა დამკვიდრებული კავკასიის, და კერძოდ, საქართველოს უძველესი სახვითი ხელოვნების

---

69 ამ ტიპის ქანდაკებათა შესახებ ბ. უვაროვა აღნიშნავს: «Такая поза встречается на всех изображениях такого рода и за границею Кавказа, что обьясняется, может быть, неумением представить человеческое изображение в профиль». იხ. П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, вып. VIII, 1900, გვ. 117.

თემატიკაში. რკინის ხანიდან მოყოლებული ამ კომპოზიციამ განვითარების გრძელი გზა განვლო და ასახვა ჰპოვა მატერიალური კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე: ბრინჯაოს სარტყლის გრაფიკულ ნახატებში[70], პლასტიკაში[71], შტანდარტებზე[72], ჭვირულ ბალთაზე[73] და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზოგ მათგანზე ცხენოსანი შიშველია, ზოგან კი სანახევროდაა ჩაცმული ან შეიარაღებული მხედრის სახით წარმოგვიდგება. განსხვავებულია აგრეთვე მისი პოზა. იგი ხან ასვლის პროცესშია გამოსახული, ხან კიდევ მჯდომარე. ცხენი მოცემულია მოძრაობაში ან ერთ ადგილას გაჩერებული. როგორც შ. ამირანაშვილი ფიქრობს, თავდაპირველად ცხენოსნის ფიგურები მითურ გმირებს, ღმერთკაცებს განასახიერებდნენ. შემდგომში კი ისინი სოციალური ბატონობის იდეას გამოხატავდნენ[74]. უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ქართველების წარმართული სარწმუნოების მთავარი ღვთაება მთვარე ღმერთი მამა-კაცი იყო, რომლის ადგილი ქრისტიანულ ხანაში წმინდა გიორგის კულტმა დაიკავა[75]. გ. ჩუბინაშვილის აზრით, აგრეთვე, წმინდა გიორგის კულტი ადგილობრივ წარმართულ კულტს შეენაცვლა[76].

საყურადღებოა, რომ ცხენოსნის გამოსახულება სვანების ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე სიმბოლურ ხასიათს ატარებს. მას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი აქვს დათმობილი მიცვალებულის სულის კულტთან დაკავშირებულ დღეობა ლიფანალის მხატვრობაში. სვანების აზრით, სხვა ცხოველებთან ერთად გამოსახული მხედარი წარმოსახავს ადამიანს, რომელსაც მიცვალებულის

---

70 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 40.

71 შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58—60; გ. ღომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, გვ. 74—75.

72 ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 4.

73 მ. ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ., 1972, გვ. 80.

74 შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

75 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 50. ეს მოსაზრება გაზიარებულია ი. გაგოშიძისა და მ. ხიდაშელის მიერ. იხ. ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 40—43. მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

76 Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

სულისათვის შეწირული ცხოველები მკვდრების სამეფოში მიჰყავს[77]. ცხადია, ლიფანალის დღეობა და მასთან დაკავშირებული საწესო მხატვრობა, უძველესი იდეოლოგიური შეხედულების — ანიმიზმის გამოხატულებას წარმოადგენს.

დღეობა ლიფანალის არსი დღეს სვანებს სხვადასხვაგვარად აქვთ წარმოდგენილი. ერთნი მხატვრობას მიცვალებულის სულის გასართობ საშუალებად მიიჩნევენ, მეორენი ფიქრობენ, რომ მას სარგებლობა მოაქვს მიცვალებულთა სულებისათვის, მესამენი კი თვითონ მოელიან სარგებელს. როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, ეს განსხვავებული შეხედულებანი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში შემუშავებული წარმოდგენების გადმონაშთებია. მისი აზრით, მხედრის ჭრელები გამოხატავენ სვანებისა და საზოგადოდ კავკასიის მთიელ ტომთა შორის უძველესი დროიდან დამკვიდრებულ ტრადიციას — მიცვალებულს საიქიოში გაატანონ თავისი ცხენი[78].

აღნიშნული ტრადიცია მართლაც ძალიან ძველი ჩანს. არქეოლოგიური მონაცემებით, სამარხში ადამიანთან ერთად ცხენის, მისი ცალკეული ნაწილების, აკაზმულობის, ზოგჯერ კი მისი ელემენტების ჩატანების შემთხვევებს გვიან ბრინჯაოს ხანიდან შეიძლება გავადევნოთ თვალი[79]. ამგვარი სამარხები, იშვიათად შუა ფეოდალურ ხანაშიც გვხვდება (იმირის-გორისა და მთათუშეთის სოფ. საგირთას სამარხები). საყურადღებოა, რომ ცხენის საიქიოში გატანების წეს-ჩვეულება, გადმონაშთის სახით, უკანასკნელ დრომდე შეინარჩუნეს მთიანი საქართველოს მცხოვრებლებმა. მაგრამ დღეს იგი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს და დაკრძალვის ცერემონიალის დროს სხვადასხვა ადგილებში განსხვავებული წესით სრულდება[80].

აღნიშნული კომპოზიციის გამეორება საუკუნეების მანძილზე

---

77 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 66.

78 ი ქ ვ ე, გვ. 63—67.

79 გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 165; Р. А б р а м и ш в и л и, Археологические раскопки в Лагодехском районе. Тезисы докладов работы первой объединенной сессии Гурджаанского краеведческого музея и Института истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили, Тб., 1965, გვ. 31.

80 Д. Г н о р г а д з е. Обряд „посвящения коня" у горцев Восточной Грузии, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, თბ., 1972, გვ. 288—293.

ძველ, წარმართულ რელიგიურ — სიმბოლურ წარმოდგენათა ღრმა ტრადიციას მოწმობს. უძველეს წარსულში მიცვალებულთან ერთად ცხენის დაფლვა და ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ამ ტრადიციის გადმონაშთები, სამარხებში ცხენოსანი ფიგურის აღმოჩენის შემთხვევები და მიცვალებულთა დღეობა ლიფანალში შესრულებული ამავე სიუჟეტის ჭრელები, ვფიქრობთ, ერთგვარ გენეტიკურ კავშირში არიან ერთმანეთთან. თუ ეს ასეა, მაშინ წარმართულ რელიგიაში ცხენოსანს, მამაკაც ღვთაებას, ერთ-ერთ ფუნქციად მიცვალებულთა სულებზე ზრუნვა და მათი მფარველობა შეიძლება მიეწეროს. ნიშანდობლივია, რომ ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში ცხენოსნის გამოსახვის არქაული ტრადიციები ქრება. ჩრდილო კავკასიაში კი, სადაც ქრისტიანული რელიგია უფრო გვიან ვრცელდება და საქართველოს მთიანეთის მსგავსად, მკვიდრად ვერ იკიდებს ფეხს, ცხენოსნის ანალოგიური ფიგურები IX საუკუნემდე ჩანს გავრცელებული. ამასთან, ისინი ალანთა ყოფის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტსაც კი წარმოადგენენ VII—IX სს[81]. ვფიქრობთ, რომ შენაქოს ცხენოსანი ფიგურა სწორედ ამ ჩრდილოკავკასიურ ქანდაკებებს ეხმაურება და მათ მიხედვით, ზოგადად, VII—IX სს. უნდა დათარიღდეს.

შენაქოს ირმის ქანდაკება (ტაბ. IV, 1) მრგვალია, მასიური. იგი მყარად დგას სწორ, მრგვალგანივკვეთიან ფეხებზე. კისერი მაღალი აქვს, ყელმოღერებული. ვიწრო ტანი გავისაკენ ოდნავ გამსხვილებულია. ყურები გრძელია, ჰორიზონტალური. სახის ნაკვთები რელიეფურად გამოიყოფა. რელიეფურადაა გამოხატული აგრეთვე გავა და სასქესო ორგანო. ზომა: 5×3 სმ.

როგორც ცნობილია, ქართველ ტომთა უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ცხოველთა თაყვანისცემას. ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, ქართველთა უძველეს ტოტემთა რიცხვს მიეკუთვნება ირემი. მისი პატივისცემა და მაგიური ძალის რწმენა დღემდეა შემონახული მთიანი საქართველოს ყოფაში.

მ. ხიდაშელის აზრით, ირმისა და ჯიხვის ძლიერი კულტი საქართველოსა და კავკასიაში ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან და უძველეს მონადირეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული[82]. ვფიქ-

---

[81] В. А. Кузнецов, О позднеаланской культуре Северного Кавказа, СА, № 2, М., 1959, стр. 105.

[82] მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

რობთ, ამ კულტის წარმოქმნის დრო თანხვდება მისი სახის გაჩენას და დამკვიდრებას ქართულ სახვით ხელოვნებაში. ირმისა და ჯიხვის ბრინჯაოს მცირე ქანდაკებების აღმოჩენის ხშირი შემთხვევები გვიან ბრინჯაოს ხანის მასალებს შორის[83], შესაძლებელია, ამ ხანაში ამ კულტის საბოლოოდ ჩამოყალიბების მანიშნებელი იყოს.

თუშეთში ირმის კულტის ღრმა ტრადიცია დამოწმებულია აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ირმის ორი ქანდაკებით, რომლებიც ძვ. წ. XI—IX სს. მიეკუთვნებიან[84]. ამ კულტის სიძლიერე და გაბვითარების გრძელი გზა დასტურდება აგრეთვე თუშეთში და საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ჩვევა-წარმოდგენებით, რომელთაგან განსაკუთრებით ნიშანდობლივია სალოცავი ნიშის შემკობა ირმისა და ჯიხვის რქებით.

აღსანიშნავია, რომ ირემი შესულია ქრისტიანულ სიმბოლიკაში. მისი სახე IV ს. ჩნდება ნათლობის საიდუმლოებასთან, წყალთან კავშირში, სადაც იგი განასახიერებს მორწმუნეს, უცოდველს, წმინდანს. ამავე დროს, ირემი, მოსეს რჯულის მიხედვით, წმინდა, მსხვერპლად შესაწირ ცხოველს წარმოადგენს[85]. ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში ირემი მართლაც ფართოდ გავრცელებული სახეა. მაგრამ ჩვენ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა აგრეთვე წარმართული ირმის კულტის შერწყმას ქრისტიანულ რელიგიასთან. ამის საუკეთესო მაგალითია ქრისტიანულ ეკლესიებში და მათ მისადგომებში ირმისა და ჯიხვის რქების ჩამოკიდების წესი[86].

თუშების წარმართულ ჩვევა-წარმოდგენებს უკავშირდება აგრეთვე მამლის მცირე ზომის მრგვალი ქანდაკება, საკიდებით ზურგზე და მუცელზე (ტაბ. IV, 2). მამლის გამოსახულება სტილიზებულია. სფერულ ტანს, რომელიც ბოლოსკენ დაგრძელებულია, ებმის დიდი ზომის დაფანჯრული კუდი. წაგრძელებული, დახრილი კისერი მცირე ზომის თავსა და გრძელ, მოკაუჭებულ ნისკარტში გადადის. მამალს მარაოსავით გაშლილი მალალი ბიბილო ადგას. სახის ნაკვთები, ფეხები და ფრთები არ არის აღნიშნული. ზომა: 4,5×3 სმ.

წარმართულ იდეოლოგიაში მამალი უკვდავებისა და აღდგომის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა და ამავე მნიშვნელობით შევიდა იგი ქრისტიანულ სიმბოლიკაშიც[87].

---

83 მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

84 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 12—13.

85 А. С. Уваров, Христианская символика, М., 1903, стр. 206.

86 მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

87 А. С. Уваров, დასახ. ნაშრ., გვ. 25—27.

ზემოგანხილული მცირე ქანდაკებები შესრულების პრიმიტიული მანერით ხასიათდებიან. უმოძრაოდ მოცემული ფიგურები სქემატური და სტილიზებულია. მოძრაობის გამოხატვის ერთგვარ ცდას ვხედავთ მხოლოდ ირმის ქანდაკებაში, რომელსაც კისერი ოდნავ გვერდზე აქვს გადმოხრილი და თითქოს ყელმოღერებულია. აღსანიშნავია, რომ მხატვრული სტილითა და შესრულების მანერით შენაქოს სკულპტურული გამოსახულებანი ახლოს დგანან ბრინჯაოსა და რკინის ხანის მცირე პლასტიკის ნიმუშებთან. ზოომორფული თემატიკა და გამოსახვის პრიმიტიული ხერხები მიუთითებენ მთიელთა იდეოლოგიის უწყვეტ კავშირზე უძველეს წარმართულ რელიგიასთან და ორგანულად მასთან დაკავშირებულ არქაულ ხელოვნებასთან.

ჭურჭელი

როგორც აღვნიშნეთ, შენაქოს საკულტო კომპლექსის გათხრის დროს მრავლად გამოვლინდა ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, ადგილზევე იქნა დატოვებული. ამის გამო ჩვენი განხილვის საგანს სულ ათიოდე ფრაგმენტი წარმოადგენს.

შენაქოს თიხის ჭურჭელი დამზადებულია მოწითალოდ და რუხად გამომწვარი თიხისაგან, რომელიც ბზინვარებით ხასიათდება. კერამიკული ფრაგმენტებიდან სამი ნატეხი ქოთნის ყურებია (ტაბ. V, XXIII). ამათგან ორი ზოომორფული გამოსახულებებითაა შემკული. ერთზე მიბერწილია გრძელრქებიანი ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულება, რომელიც ირემს მოგვაგონებს, ხოლო მეორეზე კი — ხარის თავი (ტაბ. V, 1, 2).

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან აღინიშნება ზოომორფული გამოსახულებებით შემკული თიხის ჭურჭლის კავშირი საკულტო ხასიათის ძეგლებთან, რაც მათ საკულტო-სარიტუალო დანიშნულებაზე მეტყველებს. ფეოდალურ ხანაში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ზოომორფულგამოსახულებიანი ჭურჭელი თანდათან კარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას და მხოლოდ დეკორატიულ მიზნებს ემსახურება. მაგალითად, დეკორატიული, ცხოველის გამოსახულების ფორმის ჭურჭლებს მიეკუთვნება ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის მთელი რიგი კერამიკული

ფრაგმენტები[88]. შუაფეოდალურ ხანაში წერნაქიან დერგებზე ხშირად გვხვდება დეკორატიული სარტყელი, რომელზედაც ცხოველების ან ფრინველების მწკრივია გამოსახული. დეკორატიულ ხასიათს ატარებენ აგრეთვე მოჭიქულ კერამიკაზე გამოსახული ცხოველები და ფრინველები[89].

ზოომორფული ხასიათის კერამიკა, უფრო კი ზოომორფულ-ყურებიანი ჭურჭლები, ფეოდალურ ხანაში ფართოდ ჩანს გავრცელებული ჩრდილო კავკასიის მასალებს შორის. ხშირია მათი აღმოჩენის შემთხვევები ჩრდილო ოსეთში[90], ჩაჩნეთში[91] და სხვ. ჩაჩნეთის ამ ტიპის კერამიკა, ვ. ვინოგრადოვის აზრით, ძველი სარმატული ტრადიციის გამოხატულებაა და მაგიურ მიზნებს ემსახურება — თაყვანსაცემი ცხოველის გამოსახულება აფრთხობს ბოროტ სულს, რომელსაც თავღია ჭურჭელში დასადგურების უნარი შესწევს[92].

თიხის ჭურჭლის რამდენიმე სქელკედლიანი ფრაგმენტი შემკულია რელიეფური სარტყლით, რომელიც შედგება ორ ან სამ რიგად განლაგებული სხვადასხვა მხარეს დაგრეხილი თოკისებური ორნამენტისაგან (ტაბ. VI, VII, VIII). კედლის სისქისა და ორნამენტის ხასიათის მიხედვით ისინი დერგის ტიპის დიდ ჭურჭლებს უკავშირდებიან. ნატეხები პირს ქვემოთ მრგვალი ნახვრეტებით, საწურს მიეკუთვნებიან (ტაბ. X). ამგვარი თიხის საწურები ქართულ მასალებს შორის გვხვდება როგორც ადრეულ, ისე განვითარებულ საშუალო საუკუნეებში.

მიუხედავად იმისა, რომ შენაქოს კერამიკული მასალა ფრაგმენტალური და მცირერიცხოვანია, იგი მაინც გვიქმნის ერთგვარ წარმოდგენას შუა საუკუნეებში თუშეთში გავრცელებული ჭურჭლის ზოგიერთ სახეობაზე. ფრაგმენტების დაჯგუფებამ და განხილ-

---

88 მ. სინაურიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 67.

89 ვ. ჯაფარიძე, კერამიკული წარმოება XI—XIII სს. საქართველოში, თბ., 1956, გვ. 19, ტაბ. IV—1, 3, V, VI, VII—3.

90 А. С. Уварова, დასახ. ნაშრ., გვ. 189, ნახ. 166, გვ. 230, ნახ. 194, ტაბ. X, IX, I, XXIX, 16; Т. М. Минаева, Археологические памятники на реке Гиляч, МИА, № 23, М.-Л., 1951, გვ. 280, 286, ნახ. 7, 13, 5.

91 В. Б. Виноградов, Тайны минувших времен, М., 1966, стр. 22—23, ნახ. 2, 3.

92 იქვე.

ვამ დაგვანახვა, რომ ისინი ქოთნის (ტაბ. IX), დერგის და საწურის ტიპის ჭურჭელს მიეკუთვნებიან.

ლითონის ჭურჭელი წარმოდგენილია თუფშის თუ გამლილი თასის ორი პირ-გვერდის ფრაგმენტით, რომლებიც სხვადასხვა ჭურჭელს მიეკუთვნებიან (ტაბ. XXIV).

სამკაული

შენაქოს საკულტო მასალებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს სამკაული წარმოადგენს. აქ მეტ-ნაკლები რაოდენობით წარმოდგენილია სამაჯურები, საყურეები, საკინძები, მშვილდ-საკინძები და მძივები. სამკაულის უმრავლესობას სამაჯურები შეადგენენ, ამათგან უმეტესი ნაწილი მინის სამაჯურების ფრაგმენტებია.

საქართველოში მინის სამაჯურების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები, დღეისათვის, IX საუკუნიდან XIV ს. დასაწყისამდე იფარგლება[93]. მინის სამაჯურები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი ამ პერიოდის ნაქალაქარების, ნასოფლარების და სამაროვანთა გათხრების შედეგად. საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე მათი აღმოჩენის არაერთი შემთხვევა საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, თუშეთს გარდა — სვანეთში[94], ხევში[95] და სხვ.

მინის სამაჯურების სიმრავლე და საყოველთაო გავრცელება შეიძლება აიხსნას აღნიშნულ ხანაში მინის ნაწარმის სიიაფით, რაც, თავის მხრივ, მინის წარმოების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს[96]. დღეისათვის გამოვლენილი მინის საწარმოები ორბეთსა და ნატბეურში, მინის საწარმოთა ნაშთები ნაბადრებში, ხაშმთან[97], კარსანში[98] და თბილისში (განჯისკარი და ერეკლე მეო-

---

93 რ. დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVIII—B, თბ., 1969 .გვ. 100—102.

94 მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

95 ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

96 რ. დოლაბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

97 ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961, გვ. 14.

98 გ. ლემლეინი, მინის საბერი წარმოების ნაშთი კარსანში, მცხეთის მახლობლად, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, VI, № 9, თბ., 1945, გვ. 743—749.

რის მოედანი)[99], მინის წარმოების არსებობის კვალი დმანისში[100] და რუსთავში[101], უტყუარი საბუთია მინის საწარმოთა ფართო ქსელის არსებობისა იმდროინდელ საქართველოში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

შენაქოში 58 მინის სამაჯურის ფრაგმენტი აღმოჩნდა. ისინი ღამზადებულია შავი, ცისფერი, სხვადასხვა ელფერის ლურჯი, მწვანე და მოყავისფრო მინისაგან. ამასთან შავი მინის სამაჯურების უმრავლესობა ინკრუსტირებულია ფერადი, გაუმჭვირი მინით.

აღნიშნული სამაჯურები გამოირჩევიან ფორმების მრავალსახეობით. მათ შორის გვხვდება როგორც სრულიად სადა, მრგვალგანივკვეთიანი, ისე სხვადასხვაგვარი გრეხილები, განივკვეთში სამწახნაგა და სეგმენტის ფორმის სამაჯურები. უკანასკნელთა უმრავლესობას ინკრუსტირებული სამაჯურები წარმოადგენენ.

შენაქოს სამაჯურებს შორის თერთმეტი სადა, მრგვალგანივკვეთიანი ფრაგმენტია (ტაბ. XI, 1). აქედან შვიდი ლურჯია, სამი — მომწვანო, ერთი კი — ცისფერი. ლურჯი მინის სამაჯურები გამოირჩევიან კრიალა ზედაპირით. ზოგ მათგანზე შერჩენილია ღეროს შეერთების ადგილი. დადაბლებული, ერთმანეთზე გადადებული ბოლოები კოხტადაა დაბრტყელებული.

სადა, მრგვალგანივკვეთიანი მინის სამაჯურები საქართველოში მოპოვებულ სამაჯურებს შორის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ. ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოს სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე, მოყოლებული IX საუკუნიდან ვიდრე XIV ს. დასაწყისამდე[102].

აღსანიშნავია, რომ სამაჯურების ეს უმარტივესი ფორმა ფართოდაა გავრცელებული ყველგან, სადაც კი მინის სამაჯურები ყოფილა ხმარებაში. დიდი რაოდენობითაა ისინი მიკვლეული სომხეთ-

---

99 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955, გვ. 160; ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961, გვ. 28—29.

100 ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 448.

101 გ. ლომთათიძე, რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი 1960 წ., საქართველოში 1960 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1961, გვ. 52.

102 რ. დოლაბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

ში[103], აზერბაიჯანის ტერიტორიაზე,[104], ჩრდილო კავკასიაში[105], ძველი რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე[106], ვოლგისპირა ბულგარეთში[107], დუნაისპირა ბულგარეთში[108], ბიზანტიაში — კორინთოსა[109] და ჰარანში[110] და სხვა.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებენ სამაჯურები, რომელთა განივკვეთი სეგმენტს წარმოადგენს. მათ შორის გამოიყოფა სადა და ინკრუსტირების ხერხით ორნამენტირებული ნიმუშები.

სადა სამაჯურები სამი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი (ტაბ. XII, 1). ისინი შავი მინისაგანაა ნაკეთები. მათი ღერო, მსგავსად ინკრუსტირებული სამაჯურების ღეროსი, ფართო და მასიურია. აღსანიშნავია, რომ ამავე ფორმის სამაჯურები, აღმოჩენილი დმანისში, რუსთავში და თბილისში, შენაქოს სამაჯურებისაგან განსხვავებით, ხასიათდებიან ვიწრო ღეროთი, სიმსუბუქით და ფერადოვნებით. აღნიშნული განსხვავება საფუძველს გვაძლევს შენაქოს სამაჯურების თავისებურება მათ ლოკალურ ნიშნად მივიჩნიოთ.

შენაქოს ინკრუსტირებული სამაჯურები აგრეთვე შავი მინისაგანაა დამზადებული. თოთხმეტი სამაჯურის ფრაგმენტი აჭრელებულია ფერადი — ცისფერი, თეთრი, ყვითელი და წითელი მინის

---

103 Б.Н. Аракелян, Развитие ремесел и товарного производства в Армении в IX—XIII вв. СА, XXVI, М., 1956, стр. 128.

104 И. М. Джафарзаде, Историко-археологический очерк старой Ганджи, Баку, 1949, стр. 81; Ф. Л. Османов, О стеклянных браслетах из Кабалы, Доклады АН Аз. ССР, № 1, Баку, 1963, стр. 105.

105 В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრ., გვ. 108, 117, ნახ. 13; Л. Н. Лавров, Археологические разведки в Дагестане в 1947 и 1950 годов, Сборник Музея антропологии и этнографии, т. XIV, М., 1949, стр. 256.

106 Г. Ф. Соловьева и В. Н. Кропоткин, К вопросу о производстве, распространении и датировке стеклянных браслетов древней руси, КСИИМК, вып. XLIX, М., 1953, стр. 21; З. А Львова, Восточно-европейские стеклянные украшения VIII—XII вв., Кандидатская диссертация, Л., 1961, стр. 140—193.

107 А. Ф. Лихачев, Бытовые памятники Великой Булгарии, Труды второго археологического съезда в Санкт-Петербурге, вып. I, СПб., 1876, стр. 35.

108 Д. В. Айналов, Абоба-Плиска, Известия русского археологического института в Константинополе, т. X, София, 1905, стр. 290; Альбом к X тому..., Вена, 1905, табл. LVII, 16—18; И. Чангова, За стъклените гривни в средновековна България, Българска Академия на науките археологически институт и Музей, София, 1961, стр. 183, рис. 1_{9-12}, $2_{3, 8, 13}$.

109 G. R. Davidson, დასახ. ნაშრ., გვ. 163, ტაბ. 112, 2142.

110 D. S. Rice, Medieval Harran, Studies on its Topography aud Monuments, I, Anatolian Studies, vol. II, London, 1952, გვ. 73, ნახ. 31, 34.

ლაქებით (ტაბ. XII, 2—4), თექვსმეტ ფრაგმენტზე გამოსახულია მცენარეული მოტივი, რომელიც აგრეთვე ფერადი, ყვითელი ან ცისფერი მინითაა შესრულებული (ტაბ. XIII, 1—4). ამ სამაჯურების ზედაპირი გლუვია. ორნამენტი ღეროს სტრუქტურაში შესულია ზედაპირულად.

აღსანიშნავია, რომ მცენარეული მოტივი, რომელიც წარმოადგენს ცენტრალურ ყლორტს მის გასწვრივ ზიგზაგისებურად განლაგებული მარყუჟიანი ფოთლებით, ზოგჯერ დაუდევრადაა შესრულებული (ინვ. 34—64: 280). საინტერესოა სამაჯურის ფრაგმენტი (ინვ. 34—64:277), რომელზედაც მცენარეული ორნამენტი ძალზე სქემატურადაა გამოსახული — ცენტრალურ ხაზს ფოთლების ნაცვლად ტეხილი ხაზი გასდევს (ტაბ. XIII,4). როგორც ჩანს, ხელოსანმა სახე დაიტანა არასაკმარისი რაოდენობის ფერადი მინით, რის გამოც, ღეროს გაშიმვის შემდეგ, ფოთლების მსგავსად განლაგებული ტეხილი ხაზი მიიღო. აღნიშნული ნატეხები, შესაძლებელია, წარმოების წუნს ან არაკვალიფიცირებული ხელოსნის ნახელავს წარმოადგენდეს.

დღეისათვის ჩვენ მიერ ფიქსირებულია სამოცდაათამდე ინკრუსტირებული მინის სამაჯურის ფრაგმენტი. აღსანიშნავია, რომ ორბეთისა და ნატბეურის მინის სახელოსნოებში ინკრუსტირებული მინის სამაჯურების წარმოების კვალი არ ჩანს. დმანისსა და რუსთავში კი, სადაც სისტემატური არქეოლოგიური გათხრები ტარდებოდა, მათი აღმოჩენის შემთხვევები იშვიათია. სწორედ ამიტომ, შენაქოში ხატისათვის შეწირულ ნივთებს შორის 30 ინკრუსტირებული მინის სამაჯურის აღმოჩენა მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია. აღნიშნული გარემოება მარტო ძეგლის ხასიათით ვერ აიხსნება, იგი მიუთითებს აგრეთვე ამ მხარეში მათ ფართო მოხმარებაზე.

საინტერესოა აღინიშნოს ინკრუსტირებული მინის სამაჯურების აღმოჩენის მთელი რიგი შემთხვევები კახეთის ისტორიულ ძეგლებზე — თელავში, სოფ. მატანში და ნასოფლარ „ქვაბებთან". ამ მონაპოვრებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებენ თელავის სამაჯურები. მათი ღერო უმთავრესად ლურჯი მინისაა, ზედაპირი კი წითელი, ცისფერი და ყვითელი ჩანართებითაა შემკული[111]. თელავს გარდა ინკრუსტირებული, ლურჯი მინის სამაჯურის ერთადერთი ფრაგმენტი ცნობილია დმანისიდან.

---

111 ც. ჩიკოიძე, ქალაქ თელავის ისტორიისათვის, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1969, გვ. 37—38.

ინკრუსტირებული მინის სამაჯურების აღმოჩენის შედარებით ხშირი შემთხვევები კახეთსა და მის მომიჯნავე მაღალმთიან თუშეთში, აგრეთვე შენაქოს ზოგი სამაჯურის დაუდევარი ნახელაობა და თელავის სამაჯურების თავისებურება საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ ტიპის სამაჯურების წარმოებას კახეთისა და, შესაძლებელია, თუშეთის მინის საწარმოებში მისდევდნენ.

საქართველოში ინკრუსტირებული მინის სამაჯურები გავრცელებული ჩანს IX—XIII სს. მანძილზე.

ფერადი პასტით მინის სამაჯურების შემკობის ტექნიკა ცნობილი იყო ადრეულ ხანაშიც. მაგალითად, სახელმწიფო ერმიტაჟში ექსპონირებული ეგვიპტური სამაჯურები, შემკული პოლიქრომული მინის პასტის ჩანართებით და გრეხილი ზოლებით, რომაულ ხანას მიეკუთვნებიან. ფერადი მინის პასტით შემკული სამაჯურების აღმოჩენის ფაქტი აღნიშნულია აგრეთვე კ. ლამმის მიერ ლურისტანის წინაისლამური ხანის სამარხებში. ერთი მათგანი, მომწვანო მინის სამაჯური, ორნამენტირებულია თეთრი ზოლებით, რომლებშიც სექტორებია ჩასმული. მეორე კი (ვ. ბაკლის კოლექციიდან) შემკულია წითელი, ცისფერი და ყვითელი ზოლებით და ორივე მხარეზე რელიეფურად გამოყოფილი შავი და თეთრი ზოლებით. ინკრუსტირებული მინის სამაჯურები ცნობილია აგრეთვე სპარსეთის ბელუჯისტანიდან (ა. სტეინის გათხრები)[112].

ზედაპირდაჭრელებული მინის სამაჯურების ერთეული ეგზემპლარები გვხვდება სომხეთის შუასაუკუნეების ძეგლებზე[113]. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აჭრელებული და მცენარეული მოტივით შემკული სამაჯურები მიკვლეულია ჩუკურ-იურთში (27 ეგზ.), ერთეულები—ორენ-ყალაში[114] და ძველ განჯაში[115]. ლაქებით აჭრელებული სამაჯური აღმოჩნდა აგრეთვე დაღესტანში, კულინის სამაროვანზე (XI—XIII სს.)[116], შავი სამაჯური თეთრი ზოლისა-

---

112 G. Y. Lamm, Glass and Hard Stone vessels, survey of Persian Art, Editor A. U. Pope, vol. III, London and New-Iork, 1939, გვ. 2594.

113 З. А. Львова, Стеклянные браслеты и бусы из Саркела-Белой Вежи, МИА, № 75, М.-Л.; აგრეთვე სომხეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ინვ. № 2326/123.

114 З. А. Львова, დასახ. ნაშრ., გვ. 312; აგრეთვე, აზრებაიჯანის ისტორიული მუზეუმის ექსპოზიცია (XII—XIII სს.).

115 И. М. Джафарзаде, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

116 Л. Н. Лавров, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

ბური ჩანართებით ცნობილია ხერსონესიდან, ინკრუსტირებული სამაჯურების 26 ფრაგმენტი აღმოჩნდა სამხრეთ რუსეთის ქალაქ სარკელ-ბელაია ვეჟას გათხრების შედეგად (IX ს. II ნახ. — XII ს. I ნახ.)[117]. საერთოდ კი, ძველი რუსეთის ქალაქებში მათი აღმოჩენის შემთხვევები ძალზე იშვიათია[118].

შენაქოს მინის სამაჯურებს შორის სამ ფრაგმენტს სამწახნაგა ღერო აქვს. მათი წიბო დაბალია, არამკვეთრად გამოხატული. ღეროს განივკვეთი ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა. სამაჯურები მომწვანო მინისაა.

სამწახნაგა სამაჯურების ნატეხები და ნახევარფაბრიკატი ღეროები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი ორბეთის მინის სახელოსნოში. ისინი დამზადებულია უმთავრესად შავი მინისაგან. განსხვავებით შენაქოს სამაჯურებისაგან, მათ მკვეთრად გამოყოფილი მაღალი წიბო და სამივე წახნაგი ტოლი აქვთ. შენაქოს სამაჯურებთან უფრო ახლო მსგავსებას ამჟღავნებენ საქართველოს შუაფეოდალური ხანის მთელ რიგ ძეგლებზე გამოვლენილი ამ ფორმის სამაჯურები.

საქართველოში სამწახნაგა მინის სამაჯურების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები IX—XIII სს. განისაზღვრება[119].

ანალოგიური სამაჯურები აღმოჩენილია სომხეთში — ანისის, დვინისა და გარნისის XI—XIII სს. კულტურულ ფენებში[120]. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მსგავსი სამაჯურები მიკვლეულია ჩუკურ-იურთში. ორენ-ყალაში, მინგეჩაურში[121] და კაბალაში[122], (VIII—XIII სს.). გვხვდება ისინი აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში (IX—XI სს.)[123], სარკელ-ბელაია ვეჟაში (IX ს. II ნახ.—XII ს. დასაწყისი)[124], ტმუტარაკანში (X—XII სს.)[125], დუნაისპირა ბულ-

---

117 З. А. Львова, დასახ. ნაშრ., გვ. 311.

118 М. Д. Полубояринова, Стеклянные браслеты древнего Новгорода, МИА, 117, М.-Л., 1963, стр. 165.

119 რ. დოლაბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

120 სსიმ, ინვ. № 2326/123, 1917/75, 2243/336, 1980/178, 2243/336 (2 ეგზ.), 123/833—836, 1224, 840, 894 (3), 900, 890, 839, 860, 1964/205.

121 З. А. Львова, დასახ. ნაშრ., გვ. 312; В. П. Фоменко, Стеклянные изделия VIII—X вв. городища Оренкала, АН Аз. ССР, Серия общ. наук, № 7, 1962, Баку, стр. 38.

122 Ф. Л. Османов, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

123 Т. М. Минаева, დასახ. ნაშრ., გვ. 277, 294, ნახ. 5.

124 З. А. Львова, დასახ. ნაშრ., გვ. 308, 318, 323, ნახ. 16.

125 Ю. Л. Щапова, Стеклянные изделия средневековой Тмутаракa-

გარეთში[126], მნიშვნელოვანი რაოდენობით ნოვგოროდში (32 ეგზ.), სმოლენსკში — 1, ბელოოზეროში — 1, კიევსა და ჩერნიგოვში — 2, რიაზანში — 4[127].

შენაქოს კომპლექსში თერთმეტი გრეხილი სამაჯურია წარმოდგენილი. მათ შორის გამოიყოფა დაღარულღეროიანი გრეხილები და ოთხწახნაგა ღეროს გრეხვით მიღებული სამაჯურები.

მომწვანო მინის სამაჯურის სამი ფრაგმენტი ყალიბის საშუალებით სიმეტრიულად დაღარული ღეროებისაგანაა დაგრეხილი. მათი ზედაპირი თანაბარი და მკვეთრი რელიეფით ხასიათდება (ტაბ. XI, 2).

მსგავსი სამაჯურები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ორბეთის მინის საწარმოში. ისინი ერთეულების სახით გვხვდება აგრეთვე დმანისში, თბილისში (განჯისკარი) და უჯარმაში.

გრეხილი სამაჯურის ექვსი ფრაგმენტი დაუდევარი ნახელავია. ისინი ხელით, არათანაბრად დაღარული ღეროებისაგანაა დამზადებული. ამგვარი სამაჯურები უმთავრესად საქართველოს შუაფეოდალური ხანის ძეგლებიდანაა ცნობილი. დაღარულღეროიანი გრეხილი სამაჯურები, მრგვალ, სადა სამაჯურებთან ერთად, ფართოდ გავრცელებული ტიპია საქართველოში — IX საუკუნიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე[128].

აღსანიშნავია, რომ გრეხილი მინის სამაჯურებისა და სადა, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურების გავრცელების არე იფარგლება ერთი და იგივე ტერიტორიით — კავკასია, ძველი რუსეთის ვრცელი ტერიტორია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი, ვოლგისპირეთი, დუნაისპირა ბულგარეთი, ბიზანტია და სპარსეთი.

შენაქოს ორი სამაჯური ოთხწახნაგა დაგრეხილი ღეროსაგანაა დამზადებული (ტაბ. XI, 3). ამგვარი სამაჯურები მოპოვებულია საქართველოს შუაფეოდალური პერიოდის მასალებს შორის — დმანისში, თბილისში (განჯისკარი), ძველ ანაგაში, სოფ. აბულეთში, ნატბეურის მინის სახელოსნოში, თელავში და სხვ. აღსანიშნავია, რომ ორბეთის მინის საწარმოში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ოთხწახნაგა ღეროები. რადგან საქართველოს მინის სა-

---

ни, Керамика и стекло древней Тмутаракани, М., 1963, стр. 105, 106, 112, рис. 2_4.

[126] И. Чангова, დასახ. ნაშრ., გვ. 186, სურ2_5.

[127] М. Д. Полубояринова, დასახ. ნაშრ., გვ. 174, ტაბ. 1_7.

[128] რ. ლოლაბრიელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 110—112.

მაჯურებს შორის ოთხწახნაგა სამაჯურები არ არის დადასტურებული, ვფიქრობთ, რომ ეს ღეროები დასაგრეხად განკუთვნილი ნახევარფაბრიკატებია. ამდენად, შეიძლება დავუშვათ, რომ აღნიშნული სამაჯურები გრეხილი სამაჯურების ერთ-ერთი ადრეული სახეა და IX ს.—XIV ს. დასაწყისამდე იყო გავრცელებული[129].

ანალოგიური სამაჯურები გავრცელებულია სომხეთში — დვინსა და ანისში (24 ეგზ.)[130]. მათი აღმოჩენის ერთეული შემთხვევები დადასტურებულია აგრეთვე სამხრეთ რუსეთის ქალაქებში — სარკელ-ბელაია ვეჟაში[131] და ტმუტარაკანში[132]. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ფართო გავრცელება ნოვგოროდში (1413 ეგზ.)[133].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველ რუსეთში, სადაც მინის წარმოება ხელოსნობის ქალაქური დარგი იყო[134], მინის სამაჯურები ძირითადად ქალაქელი ქალების სამკაულს წარმოადგენდნენ[135]. სოფლის ყორღანებში მინის სამაჯურების აღმოჩენის იშვიათ შემთხვევებს კი იმით ხსნიან, რომ XI—XIII სს. რუსეთში ძლიერდება სოფლის თემის დაშლის პროცესი, ხდება ქალაქური ნაწარმის გავრცელება სოფელში, რომლის მომხმარებელი ძირითადად სოფლის თემის შეძლებული ნაწილია[136].

საქართველოში, სადაც მინის საწარმოები სოფელ ადგილებშიც იყო გამართული (ორბეთი, ნატბეური, კარსანი და სხვ.) ქალაქელ და სოფლელ ქალებს შორის ყოფის განსხვავების ეს ნიშანი დამახასიათებელი არ იყო. მინის სამაჯურებს ატარებდნენ არა მარტო ცენტრალურ რაიონებში, არამედ ძნელად მისადგომ მაღალმთიან ადგილებშიც, სადაც, სავსებით შესაძლებელია, ადგილობრივი მინის საწარმოები მოქმედებდნენ.

---

129 რ. დოლაბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

130 სომხეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ინვ. № 2326/122, 1980, (178, 123) 873, 874...

131 З. А. Львова, დასახ. ნაშრ., გვ. 308, 311, ნახ. 1_2.

132 Ю. Л. Щапова, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

133 М. Д. Полубояринова, დასახ. ნაშრ., გვ. 171—172.

134 Б. Рыбаков, Ремесло древней руси, М., 1948, стр. 396.

135 А. В. Арциховский, Курганы вятичей, РАНИОН, М., 1930, стр. 26—27.

136 Г. Ф. Соловьева, В. В. Кропоткин, К вопросу о производстве, распространении и датировке стеклянных браслетов древней руси, КСИИМК, вып. XLIX, М., 1953, стр. 25.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული საქართველოდან მინის სამაჯურების ექსპორტის შესაძლებლობის შესახებ. მაგალითად, ზ. ლვოვა სარკელ-ბელაია ვეჟას მინის სამაჯურებს შორის ბიზანტიურ და ადგილობრივ ნიმუშებთან ერთად გამოჰყოფს აგრეთვე კავკასიური წარმოშობის ნაწარმს — შავი მინის სადა და ინკრუსტირებულ სამაჯურებს, აგრეთვე ლურჯი მინის კობალტით შეფერილ და ლურჯი და შავი მინის მანგანუმის ჟანგის შემცველ სამაჯურებს[137].

ტმუტარაკანის მინის სამაჯურებიდან კავკასიურ, კერძოდ, ორბეთისა და ნატბეურის მინის სახელოსნოების ნაწარმად ი. შჩაპოვა მიიჩნევს ღეროს შეერთების ნაწილში ბურცობებით დეკორირებულ ნიმუშებს (2 ეგზ.), აგრეთვე მინის სამაჯურების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს (9 ეგზ.), რომლებზედაც ღეროს შეერთების კვალი არ ჩანს[138]. უკანასკნელ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რადგან როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის სხვა ძეგლებზე მიკვლეულ მინის სამაჯურებზე მეტნაკლებად, მაგრამ ყოველთვის შეინიშნება ღეროს შეერთების ადგილი. გვინდა მივუთითოთ, რომ მთლიანი რგოლები, იშვიათი გამონაკლისის სახით, დადასტურებულია მხოლოდ ბულგარეთის შუა საუკუნეების ძეგლებზე[139].

საინტერესოა, რომ ს. კუსაევა ჩრდილო კავკასიაში მინის სამაჯურების გავრცელების ორ გზას უთითებს — ტმუტარაკანის და საქართველოს[140]. ჩრდილოკავკასიური მინის სამაჯურების შედარება-დაპირისპირება ამიერკავკასიისა და, კერძოდ, ქართულ მასალასთან გვიჩვენებს, რომ ისინი მიეკუთვნებიან ამიერკავკასიაში საყოველთაოდ ცნობილ და ფართოდ გავრცელებულ სამაჯურთა ტიპებს. ამდენად, ს. კუსაევას მოსაზრება ჩრდილო კავკასიაში მინის სამაჯურების გავრცელების შესახებ საქართველოდან, სანამ იქ წარმოების ეს დარგი განვითარდებოდა, დამაჯერებლად მიგვაჩნია. ჩრდილო კავკასიაში მინის სამაჯურების გავრცელება ტმუტარაკანის გზით კი, ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებულია, რადგან ტმუტარაკანის მინის სამაჯურების დიდი ნაწილი მონაცრისფრო-

---

137 З. А. Львова დასახ. ნაშრ., გვ. 321—322.

138 Ю. Л. Шапова, დასახ. ნაშრ., გვ. 107—108.

139 И. Чангова, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

140 С. С. Кусаева, Аланский катакомбный могильник XI—XII вв., у станицы Змейской, Материалы по археологии и древней истории Северной Осетии, I, Орджоникидзе, 1961, стр. 59.

ცისფერი მინის მინანქრით მოხატული სამაჯურები, რომლებიც ბიზანტიის გავლენის სფეროშია მოქცეული, ჩრდილოკავკასიურ მასალებს შორის საერთოდ არ აღინიშნება. ამავე მიზეზით ვერ დავეთანხმებით მ. პოლუბოიარინოვას, რომელიც ჩრდილო კავკასიის ლურჯი მინის სამაჯურებს ზმეისკისა და გილიაჩის სამარხებიდან, სავსებით იდენტურს ამიერკავკასიის სამაჯურების, ბიზანტიისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის ცენტრების სავაჭრო-კულტურულ გავლენას მიაწერს[141].

დღეისათვის დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამიერკავკასიაში თავმოყრილი იყო მინის სამაჯურების წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრები, რომელთა პროდუქცია ვრცელდებოდა შორს ჩრდილოეთით და აღწევდა სარკელ-ბელაია ვეჟამდე (სამხრეთ რუსეთი). ამ უკიდურეს პუნქტში აღინიშნება აგრეთვე მინის სამაჯურების გავრცელების მეორე უფრო მძლავრი ტალღა ბიზანტიიდან — მინანქრით მოხატული მოცისფრო-მონაცრისფრო მინის სამაჯურები.

სავარაუდოა, რომ ჩრდილო კავკასიაში მინის სამაჯურების გავრცელების საქმეში გარკვეულ როლს თუშეთიც ასრულებდა, სადაც ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები გადიოდა[142].

აქვე გვინდა ზოგადად განვიხილოთ კავკასიის ტერიტორიაზე მინის სამაჯურების გავრცელების საკითხი.

დღეისათვის კავკასიის ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული მინის სამაჯურები (3 ც.) მიკვლეულია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე — შემახას სამაროვანზე, ერთ-ერთ ორმოსამარხში. სამარხთა ეს ჯგუფი გვიანანტიკურ ხანას, კერძოდ, III—IV სს. მიეკუთვნება. სამაჯურები დამზადებულია მწვანე და ცისფერი მინისაგან. მათი ღერო სადაა, მრგვალგანივკვეთიანი. მსგავსი, ამავე ხანის სამაჯურები აღმოჩნდა აგრეთვე ყუბის რაიონში ქვევრსამარხებიან სამაროვანზე[143].

მინის სამაჯურების აღმოჩენის ეს ერთეული შემთხვევები ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს ვიმსჯელოთ აზერბაიჯანის ტერიტო-

---

141 М. Д. Полубояринова, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

142 ა. შავხელიშვილი, თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, მაცნე, 2, თბ., 1972, გვ. 45—61.

143 А. Б. Нуриев, Стеклянные изделия и их производство в Кавказской Албании, Автореферат канд. диссерт., Баку, 1966, стр. 11.

რიაზე მინის სამაჯურების წარმოებაზე ანტიკურ ხანაში, რადგან აზერბაიჯანის ამავე და მომდევნო საუკუნეების სხვა ძეგლებზე მინის სამაჯურები არ გვხვდება. მინის სამაჯურების ფართო მოხმარება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, მათ ადგილობრივ წარმოებას უკავშირდება და უფრო გვიან არის სავარაუდებელი.

მინის სამაჯურები შემახადან უფრო იმპორტული საქონელია, ვიდრე ადგილობრივი. სავსებით შესაძლებელია აღნიშნული სამაჯურები ეგვიპტის ან სირიის სახელოსნოების ნაწარმი იყოს, სადაც ამ დროს მინის სამაჯურების დამზადება ფართო მასშტაბით წარმოებდა[144].

მინის სამაჯურები გვხვდება აგრეთვე მინგეჩაურის V—VII სს[145]. და III—VIII სს[146]. კატაკომბებში. ის გარემოება, რომ ზოგი კატაკომბა კოლექტიურ სამარხს წარმოადგენს, სადაც ზოგჯერ თორმეტამდე მიცვალებულის თანმხლები ინვენტარია არეული, აძნელებს მასალის კონკრეტულ დათარიღებას. საყურადღებოა აგრეთვე, რომ მინგეჩაურში, კატაკომბების თანამედროვე კულტურულ ფენებში, მინის სამაჯურები არ არის მოპოვებული[147], რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ ხანაში მინის სამაჯურები ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გავრცელებული სამკაული. აღნიშნული სამაჯურები შესაძლებელია ადრეულ, იმპორტულ ნაწარმად მივიჩნიოთ, ან კიდევ, ყველაზე გვიან დაკრძალულ მიცვალებულებს დავუკავშიროთ და ისინი ადგილობრივ ნაწარმად ჩავთვალოთ. საყურადღებოა, რომ VIII ს. მოყოლებული მინის სამაჯურების რიცხვი საგრძნობლად მატულობს, რაც, კულტურულ ფენებში აღმოჩენილ ნახევარფაბრიკატ და წუნდებულ მასალასთან ერთად, მინის სამაჯურების ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს.

კაბალას ნაქალაქარზე მინის სამაჯურები გავრცელებულია VIII—XIV სს. მანძილზე[148]. ორენ-ყალაში ისინი აღმოჩენილია

---

144 F. Neuburg, Glass in Antiquity, London, 1949, გვ. 49, ტაბ. 57; G. A. Eisen, Glass, New-Iork, 1927, გვ. 636, სურ. 264.

145 Г. М. Асланов, К изучению раннесредневековых памятников Мингечаура, КСИИМК, вып. 60, М., 1955, стр. 68.

146 Р. М. Вандов, Археологические работы в Мингечауре в 1955 году, КСИИМК, вып. XLVI, М., 1952, стр. 96.

147 იქვე, გვ. 94—95.

148 Ф. Л. Османов, დასახ. ნაშრ., გვ. 66; О. Ш. Исмизаде, О раскопках в Кабале на территории южной части городища, 1960 г. Материальная культура Азербайджана, V, Баку, 1964, стр. 105.

ვებსა და ორმოებში VIII—IX სს. მონეტებთან ერთად, აგრეთვე კულტურულ ფენებში VIII—X სს. მონეტებისა და მოჭიქული კერამიკის თანხლებით. მინის სამაჯურები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი აგრეთვე ნაქალაქარის XII—XIII სს. კულტურულ ფენებში[149].

როგორც ჩანს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მინის სამაჯურების წარმოება და მათი ფართო მოხმარება IX—XIII სს. არის სავარაუდებელი, ადგილობრივი მინის წარმოების ჩასახვისა და განვითარების პერიოდში[150].

სომხეთში მინის სამაჯურები აღმოჩენილია შუა საუკუნეების ნაქალაქარების — ანისის, დვინისა და გარნისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად. IX—XI სს. კულტურულ ფენებში ისინი ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით გვხვდება. ამ ხანის სამაჯურები დამზადებულია მაღალხარისხოვანი მინისა და სმალტისაგან. XII—XIII სს. მინის სამაჯურების რიცხვი მკვეთრად მატულობს[151]. ამასთანავე ისინი გამოირჩევიან მრავალფეროვნებითა და ფორმათა სიუხვით[152].

ჩრდილო კავკასიის მინის სამაჯურები უმთავრესად სამარხეული კომპლექსებიდანაა ცნობილი. ისინი აღმოჩენილია ჩრდილო ოსეთში, ზმეისკის კატაკომბებში (X—XII სს.)[153]. ს. კუსაევას აზრით, ჩრდილო კავკასიაში მინის სამაჯურები ფართოდ ვრცელდება XI საუკუნეში[154]. ვ. კუზნეცოვი კი მათი გავრცელების თარი-

---

149 В. П. Фоменко, Стеклянные изделия VIII—IX вв. городища Оренкала (Байлакан), Изв. Ак. наук АЗ. ССР, Серия общ. наук, № 7, Баку, 1962, стр. 38.

150 В. П. Фоменко, О стеклянных изделиях средневековых городов Азербайджана, Материалы к сессии песвященной итогам археологических и этнографических исследований 1970 года в Азербайджане, Баку, 1971, стр. 22—23.

151 Б. Н. Аракелян, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

152 Б. Н. Аракелян, Города и ремесла Армении в IX—XIII вв., Ереван, 1958, табл. XIV; Б. Н. Аракелян, Г. О. Караханян, Гарни III, Археологические раскопки в Армении, № 10, Ереван, 1962, стр. 112; Орбели, Каталог Анийского Музея древностей, вып. I, СПб., 1910, стр. 126.

153 С. С. Кусаева, დასახ. ნაშრ., გვ. 51, 59; В. А. Кузнецов, Змейский катакомбный могильник, Материалы по археологии и древней истории Северной Осетии, т. I, Орджоникидзе, 1961, стр. 126.

154 С. С. Кусаева, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

ლად, ვ. კროპოტკინის გამოკვლევაზე დაყრდნობით[155], X—XII სს. მიიჩნევს[156]. ჩრდილო კავკასიის (ალანთა) მთელი რიგი სამარხების დათარიღების ყველაზე მტკიცე ეტალონად ვ. კუზნეცოვს მინის სამაჯურები მიაჩნია. ამის საფუძველზე X—XII სს. ათარიღებს იგი მინის სამაჯურების შემცველ დარგავსის ქვაყუთებს, რომლებიც უვაროვას მიერ VII—IX სს. იყო დათარიღებული; კისლოვოდსკის და კალცო-გორას კატაკომბებს—XI—XII სს; ქვემო არხიზის მიწისქვეშა აკლდამას, ჯერახის ხეობაში და სანიბაში გათხრილ ქვაყუთებს—X—XII სს.[157].

ამ ნიშნით ზემოხსენებული ძეგლების დათარიღება, ჩვენი აზრით, მყარ საფუძველს მოკლებულია, რადგან ჩრდილო კავკასიის მთელ რიგ პუნქტებში მინის სამაჯურები უკვე IX საუკუნიდან და ზოგჯერ უფრო ადრეულ ხანაშიც იჩენენ თავს. მაგ. მდ. გილიაჩის პირას გათხრილ სამარხებში ისინი უკვე V—VI სს. გვხვდება[158].

დაღესტნის ტერიტორიაზე მინის სამაჯურების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები IX—XII სს. იფარგლება[159]. დღეისათვის ყველაზე ადრეული, IX—X სს. მინის სამაჯურები აგაჩ-კალინის სამაროვანზეა მოპოვებული[160].

როგორც ვხედავთ, მინის სამაჯურების ფართო გავრცელების ტალღა ერთდროულად შეეხო კავკასიის ქვეყნებს. მინის სამაჯურების წარმოებამ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, IX ს. მიიღო მასიური ხასიათი და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა საყოველთაო მოხმარების საგანი. ეს დასტურდება როგორც საქართველოში აღმოჩენილი ორბეთის მინის სახელოსნოს მონაპოვრებით, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაქალაქარებზე გამოვლენილი უამრავი ნახევარფაბრიკატი და წუნდებული — ადგილობრივი წარმოების უტყუარი მასალით, რომელიც უფრო ადრეულ

---

155 В. В. Кропоткин, О производстве стекла и стелянных изделий в средневековых городах Сев. Причерноморья и на Руси, КСИИМК, 68, М., 1957, стр. 35—44.

156 В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

157 В. А. Кузнецов, Аланские племена Северного Кавказа, МИА, 106, М, 1962, стр. 29, 98—100.

158 Т. М. Минаева, Археологические памятники на р. Гиляч в верховьях Кубани, МИА, № 23, М.-Л., 1951, стр. 297.

159 Д. М. Атаев, Средневековая Аварня, Кандидатская диссертация, Махачкала, 1961, გვ. 289.

160 К. Ф. Смирнов, Агач-Калинский могильник памятник хазарской культуры Дагестана, КСИИМК, вып. XXXVIII, 1951, стр. 114

ხანაში არ მყლავნდება. ჩრდ. კავკასიაში მინის სამაჯურების წარმოების საკითხი ადრეულ ეტაპზე, სათანადო მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით ეჭვის ქვეშაა დაყენებული[161].

მინის სამაჯურების ის ადრეული ნიმუშები, რომლებიც აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის (ვილიაჩი) ტერიტორიაზე ერთეულების სახითაა აღმოჩენილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სირიულ-ეგვიპტური სახელოსნოების ნაწარმი უნდა იყოს, ვაჭრობის, უფრო კი შემთხვევითი გზით მოხვედრილი.

შენაქოს კოლექციაში რვა ბრინჯაოს სამაჯური შედის. აქედან სამი მთელია, ხუთი კი — ფრაგმენტული. მიუხედავად იმისა, რომ მასალა მცირერიცხოვანია, იგი ხასიათდება ფორმებისა და შემკულობის მრავალსახეობით.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა განივკვეთიანი ლითონის სამაჯურები ერთნაირადაა დამახასიათებელი სხვადასხვა დროისა და ქვეყნებისათვის. ამიტომ სამაჯურის თარიღის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავების მოხაზულობისა და ორნამენტის ხასიათის გათვალისწინებას.

შენაქოს სამაჯურებს შორის ფორმით განსაკუთრებით გამოირჩევა მასიური, თავებშეუკვრელი, ოვალურად მორკალური ორი სამაჯური (ტაბ. XIV, 1), რომელთა თავები ბრტყელი ძირით გარეთ მიმართულ ნახევარსფეროებს წარმოადგენენ. მათი ცენტრი წახნაგოვანია. ზედა და ქვედა წახნაგები შემკულია წერტილ-წრეების მწკრივით, რომელიც შემოსაზღვრულია ჩხვლეტილებითა და მოკლე ვერტიკალური ხაზებით. სამაჯურის თავებს ზევით რამდენიმე რიგად ამოღარული წრეები შემოუყვება. სამაჯურები მთელია. ზომა: 1. 8,5×7 სმ; 2. 8,4×7,5 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,7 სმ.

პირდაპირი ანალოგები ამ სამაჯურებისათვის ჩვენთვის არ არის ცნობილი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებენ დმანისის განძის ვერცხლის ფუყე სამაჯურებთან, რომლებიც კომპლექსის მიხედვით XII—XIII სს. თარიღდებიან. შენაქოს სამაჯურების მსგავსად, მათ მსხვილი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო აქვთ, თავები კი ნახევარსფეროებს წარმოადგენენ, რომელთა ზევით რელიეფური სარტყლებია შემოყოლებული[162]. სამაჯურები ნახევარსფერული თავებით უფრო ადრე-

---

161 С. С. Кусаева, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

162 ვ. ლეჭვინაძე, რუსთაველის ეპოქის ქართული ოქრომჭედლობის ძეგლები, საბჭოთა ხელოვნება, № 9, თბ., 1966, გვ. 19, სურ. 17.

ულ ხანაში გავრცელებული ჩანს აგრეთვე კავკასიის შავიზღვისპირეთში (აგოისა და დუზუ-ყალას მასალები)[163].

საინტერესოა სამაჯურის ფრაგმენტი (ტაბ. XV, 1), რომელსაც ტრაპეციის ფორმის თავი აქვს. იგი მასიურია, ცენტრში დაბრტყელებული ღერო თავისკენ ფართოვდება, მსხვილდება და ნახევარსფერულ განივკვეთს იღებს. სამაჯური შემკულია გრავირებული ორნამენტით. მოცემულია წერტილ-წრეებისა და განივი, პარალელური ხაზებისაგან შედგენილი მარტივი კომპოზიცია. ქორდა — 5,4 სმ.

ერთი სამაჯური ფართოღეროიანია, ხასიათდება ტალღური ზედაპირით (ტაბ. XV, 3). სარჩულად თხელფურცლოვანი ფირფიტა უდევს. ცენტრი შემკულია დეკორატიული, ბრტყელთავიანი მანჭვლებით. სამაჯურის კიდეს ცენტრიდან სხვადასხვა მხარეს გადახრილი მოკლე ხაზები და ფხისებური სახე გასდევს. სამაჯურის დიამეტრი — 7,7 სმ, ღეროს დიამეტრი —3,9 სმ.

ტალღური ზედაპირი აქვს აგრეთვე დეფორმირებულ, ფრაგმენტებით წარმოდგენილ სამაჯურს (ტაბ. XV, 2). ზემოგანხილული სამაჯურისაგან განსხვავებით იგი ცალფაა, შედარებით ვიწროღეროიანი და შემკულობის გარეშე. ზომა: ღეროს დიამეტრი —1,1 სმ, ქორდა —6 სმ.

ფართო, ტალღურზედაპირიანი სამაჯური, შემკულობის გარეშე, ყობანიდან, გამოქვეყნებულია პ. უვაროვას მიერ, ადრეფეოდალური ხანით დათარიღებულ ნივთებს შორის[164].

აღსანიშნავია სამაჯურის ფრაგმენტი, რომლის მასიური, მრგვალგანივკვეთიანი ღერო თავისაკენ თანდათანობით მსხვილდება (ტაბ. XIV, 2). ზომა: ქორდა —4 სმ.

მეორე მრგვალგანივკვეთიანი, თავებშეუკვრელი სამაჯურის თავი გრავირებული ორნამენტითაა შემკული (ტაბ. XIV, 4). მასზე გამოსახულია რომბში ჩასმული მცენარეული ტოტი, ირგვლივ რკალები და მოკლე ირიბი ხაზები. ზომა: ქორდა —4,7 სმ.

შენაქოს სამაჯურებს შორის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია თავშეკრული (ტაბ. XIV, 3). მისი მრგვალგანივკვეთიანი ღერო თავების შეერთების ნაწილში შესქელებულია. ზომა: ქორდა — 6,6 სმ.

---

163 А. Миллер, Разведки на Черноморском побережье Кавказа в 1907 году, ИАК, 33, СПб., 1909, рис. 22, 28.

164 П. С. Уварова, დასახ. ნაშრ., გვ. 81, ნახ. 76.

ამრიგად, შენაქოს ბრინჯაოს სამაჯურები, ერთის გამოკლებით, ყველა თავშეუკვრელი, ოვალურად მორკალული ფორმისაა. მათი თავები სხვადასხვა მოყვანილობისაა. ზოგ მათგანს გეომეტრიული ფორმა აქვს. მაგალითად, ორი გამოსახავს ნახევარსფეროს, ერთი კი ტრაპეციას. სამაჯურების ნაწილი მასიურია, შემკული გრავირებული სახეებით. ორნამენტი მარტივია, გამოსახავს წერტილ-წრეს, რომბს, რკალებს და სხვ. ფართოღეროიანი, ფირფიტოვანი სამაჯურები კი ტალღური ზედაპირით ხასიათდებიან.

აღსანიშნავია, რომ შენაქოს სამაჯურებისათვის იდენტური შესადარებელი მასალა უმთავრესად არ გაგვაჩნია, რაც აძნელებს თითოეული მათგანის კონკრეტულ დათარიღებას. ამიტომ მათი გავრცელების დრო, ზოგადად, თვით ძეგლის თარიღის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

შენაქოში აღმოჩენილი საყურეები მეტად საინტერესო და იშვიათი ფორმისაა. ერთი მათგანი (ტაბ. XVI, 3) წარმოადგენს ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიან ბოლოშეუკვრელ რგოლს, უძრავად დამაგრებული ჯვრის ფორმის საკიდით, რომელიც სეგმენტებადაა დაყოფილი. საკიდის ქვედა მკლავი პირამიდისებურად განლაგებული ბურთულებით ბოლოვდება, ჰორიზონტალური მკლავები კი — საკმაოდ მსხვილი, ოდნავ დაბრტყელებული თითო ბურთულით. ცენტრი შემკულია კონუსური შვერილებით. ზომა: 4,7×2,5 სმ.

ამ საყურესთან, თავისი აგებულებით, ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს IX—XII სს. დათარიღებული ბრინჯაოს საყურე ყარაჩაევოდან (დარდონის სამაროვანი, ტებერდის მარცხენა ნაპირი)[165]. მსგავსი აგებულებისაა აგრეთვე ბრინჯაოს საყურე ყობანიდან, რომელიც შუმთხვევითი მონაპოვარია და ამდენად მისი დათარიღება ჭირს[166].

მეორე საყურე (ტაბ. XV, 2) სრულიად განსხვავებული ფორმისაა. მრგვალგანივკვეთიანი მავთულის ბოლოდახვეულ ღერძზე აცმულია მცირე ზომის მარგალიტისა და მსხვილი, მსხლისებური მოყვანილობის, მოწითალო, ნახევრადგამჭვირვალე სარდიონის თითო მძივი. ღერძს ზედა ნაწილში ოთხმეტჯერ სპირალურად შემოხვეული მავთული გასდევს, რომელიც ბოლოში, ღერძთან

---

165 Е. П. Алексеева, Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии, М., 1971, табл. $33a_5$.

166 П. С. Уварова, დასახ. ნაშრ., გვ., 80, ტაბ. XXXVI_6.

ერთად, საკიდისათვისაა მორკალული. საყურე ორადაა გატეხილი. ზომა: სიგრძე — 8 სმ.

მესამე საყურე წარმოდგენილია ფრაგმენტის სახით. იგი ზემოგანხილული საყურის მსგავსი უნდა ყოფილიყო. შემორჩა მისი მხოლოდ ზედა ნაწილი — ღერძი, ირგვლივ შემოყოლებული სპირალით.

შენაქოში აღმოჩენილი ფიბულები ორიგინალური მოყვანილობით გამოირჩევიან. ერთი მათგანი (ტაბ. XVII, 7) რთული აგებულებისაა. რკინის ძელაკზე, რომლის ბოლოები ბიკონუსური, ფუყე მძივებითაა შემკული, დახვეულია სამკუთხა მოყვანილობის ,ფარისებურად ამაღლებული ფირფიტა, შემკული გრავირებული ორნამენტით. მის შევიწროებულ ნაწილზე მანჭვალის საშუალებით დამაგრებულია დაკბილულზედაპირიანი ბუდე. ამ უკანასკნელში გაყრილია რკინის ორი ღერძი, რომელზედაც გარდიგარდმოდ ბინჯაოს ბიკონუსური მძივებია წამოცმული. მსგავსი მძივითაა შემკული აგრეთვე ბუდის მაღლა აწეული წვერი. ზომა: 7,8×7,5 სმ.

ამ ფიბულის პირდაპირი ანალოგი არქეოლოგიურ ლიტერატურაში არ შეგვხვედრია. თავისი კონსტრუქციით იგი უახლოვდება ბურთულებით შემკულ მშვილდსაკინძებს სამთავროს სამაროვნიდან, რომლებიც, ზოგადად, VI—VIII სს., ხოლო ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში კი VIII ს. თარიღდებიან[167].

მეორე ფიბულა (ტაბ. IV, 5) დუგმის მოყვანილობისაა. ქვედა პირზე ენის გასაყრელი ბუდით. იგი დაფარულია მომწვანო პატინის სქელი ფენით. ზომა: 4,8×2,4 სმ.

შენაქოში სულ რამდენიმე საკინძი აღმოჩნდა. სამი მათგანი რკინისაა. ორს წახნაგოვანი თავი აქვს (ტაბ. XVI, 1), მესამეს კი — ბრტყელი, დაბრტყელებული. სპილენძის საკინძი წარმოდგენილია სფერული ფორმის, საკმაოდ მსხვილი მარჯვნის მძივით, რომელშიც თავმოკაუჭებული წვრილი ღეროს ნაწილია გაყრილი.

აღსანიშნავია, რომ საკინძები IV—VIII სს. საქართველოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სამკაულია და ისინი ამ პე-

---

167 ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვნის ახ. წ. II—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX—B, თბ., 1959, გვ. 315, 330, ტაბ. II, სურ. 1, 9; ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ადრეულ შუასაუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის, გვ. 77.

რიოდის ქართული ნივთიერი კულტურის ერთ-ერთ თავისებურ ელემენტადაა მიჩნეული[168].

შენაქოში აღმოჩენილი მძივებიდან (ინვ. 34—64:262) ერთი მოწითალო, ნახევრადგამჭვირვალე სარდიონისაა, ცილინდრული ფორმის, მეორე კი ქარვის, დიდი ზომის, მრგვალ-ბრტყელი, კვირისტავისებური მოყვანილობის.

ცხენის აკაზმულობა

შენაქოს საკულტო მასალებს შორის დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ცხენის აღჭურვილობის ელემენტები, კერძოდ, ღვედური აკაზმულობის მოსართავი ბალთები, მილაკები, სხვადასხვაგვარი საკიდები და ა. შ. მოსართავი ნაწილებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ბალთები გვხვდება. ბალთები სხვადასხვაგვარია. მათი დიდი ნაწილი ღვედზე მანჭვლების საშუალებით მაგრდებოდა. მანჭვლის გასაყრელი ნახვრეტები უმთავრესად ბალთის ცენტრშია გამოჭრილი, ზოგჯერ ცენტრში და კიდესთან, ან მხოლოდ კიდესთან. ზოგ ბალთაზე შერჩენილია ცენტრალური სამაგრები. ისინი ლურსმნისებური კონსტრუქციისაა — მოკლე ღერო დეკორატიული თავით მთავრდება. თავები სხვადასხვა მოყვანილობისაა — ნახევარსფერული და მრავალწახნაგა, რკოსებური, ზოგჯერ კონუსს ან წაკვეთილ კონუსს დაწახნაგებული ან სადა ბურთულა ადგას და სხვ. სამაგრების უმრავლესობა მასიურია, მხოლოდ რკოსებური სამაგრებია ფუყე (ტაბ. XVII, 4). ისინი ამოვსებულია შავი ფერის მასით, რომელშიც ღერაკია ჩამაგრებული. ამგვარი სამაგრები ცალკე, ბალთების გარეშეც, მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი.

გვხვდება ისეთი ბალთებიც, რომლებიც ღვედს შიდა მხარეზე მოთავსებული სამაგრით უკავშირდებოდნენ. ზოგ მათგანს ზოლად გასდევს მირჩილული სამაგრის კვალი.

შენაქოს ბალთები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. მათი უმრავლესობა გამოჭრილია ბრინჯაოს თხელფურცლოვანი ფირფიტისგან. მათ შორის გვხვდება როგორც სრულიად სადა, ისე ორნამენტირებული ნიმუშები.

სადა ბალთები ორგვარია — დისკოსებური მოყვანილობის,

---

168 ო. ტყეშელაშვილი, სამთავროს ახ. წ. IV—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXI—B, თბ., 1957, გვ. 155.

ზოგჯერ ცენტრში წვეტით და ფარისებურად ამაღლებული, რომელთა ნაწილი ცენტრში აგრეთვე წვეტიანია. ორ ფრაგმენტზე რელიეფური კუწუბები კიდის ირგვლივაა გამოყვანილი.

ბალთების მნიშვნელოვანი ნაწილი ორნამენტირებულია. მათ შორის გვხვდება როგორც გრავირებული, ისე რელიეფურსახიანი ნიმუშები. გრავირებული ბალთები უმთავრესად დისკოსებური მოყვანილობისაა. ორნამენტის ძირითად ელემენტს წერტილ-წრე წარმოადგენს. შედარებით მდიდრული ორნამენტით გამოირჩევა კიდედაკბილული ბალთები, რომელთაგან ზოგი ოდნავ ამაღლებული ზედაპირით ხასიათდება. წერტილ-წრეები ამოღარულია კიდის ირგვლივ თითოეულ კბილანაზე, აგრეთვე ცენტრში. მათ შორის კონცენტრულ წრეხაზებში ერთ ან ორ რიგად ზიგზაგებია გამოყვანილი. აღნიშნული დეტალების განლაგება, ზოგჯერ წერტილ-წრეების შეცვლა წერტილებით, განსხვავებულ კომპოზიციას ქმნის. დეკორატიულ-იერს აძლიერებს ფიგურულთავიანი სამაგრი ბალთის ცენტრში (ტაბ. XVIII, XIX).

თავისი მასიურობით გამოირჩევა ელიფსოიდური მოყვანილობის, შუაში ჯვარედინად გამოჭრილ, წერტილ-წრეებით შემკული მოზრდილი ბალთა (ტაბ. XXII, 1) და ბორბლის მსგავსად დაფანჯრული მცირე ზომის ბალთები (ტაბ. XX, 4). თავისებურია აგრეთვე მსხლისებური მოყვანილობის ბალთა, შემკული ლოტოსის ორი ყვავილით, რომელიც ყლორტების ბოლოებით ერთმანეთთანაა შეერთებული (ტაბ. XXII, 3).

რელიეფურსახიანი, ტვიფრული ტექნიკით დამზადებული ბალთები შედარებით მცირე რაოდენობითაა მოპოვებული. მათ შორის გვხვდება როგორც მარტივი ორნამენტით, ისე შედარებით რთული სახეებით შემკული ნიმუშები. წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ბალთების ნაწილი შემკულია ოვალური კანელურების მწკრივით (ტაბ. XXI, 1). მეორე ნაწილი კი — განივი, რელიეფური ზოლებით შემკული სვეტებით, რომელთა ორივე კიდე ნახევარსფეროებითაა დაბოლოებული (ტაბ. XXI, 3, 5,—7). კვადრატულ ბალთებზე ნახევარსფეროებისა და სხვა ფიგურებისაგან შედგენილი სხვადასხვა სირთულის კომპოზიციებია გამოსახული (ტაბ. XXI, 4; XX, 2, 6 ,7). ორი კიდედაკბილული ბალთა კი დაბალი რელიეფით შესრულებული სხივური ზოლებისა და სხვა სახეების გამოყენებით, ვარდულის გამოსახულებას იძლევა (ტაბ. XX, 1, 3).

საინტერესოა ბრინჯაოს ჩამოსხმული ბალთების ერთი ჯგუფი. ისინი გამოხატავენ გვერდებშეზნექილ რომბს, რომლის ცალი, გა-

ფართოებული და დაგრძელებული წვერი ოდნავ ამაღლებულ, ზედაპირდაკბილულ რგოლში გადადის. რომბული ფიგურა შემკულია კონცენტრული წრეებით. რგოლს რომბის მოპირდაპირე მხარე დადაბლებული აქვს (ტაბ.XXII, 6). აღსანიშნავია, რომ ამგვარი რგოლები ცალკეც გვხვდება (ტაბ. XXII, 5).

ცხენის აკაზმულობის ელემენტებს შეადგენენ აგრეთვე შენაქოში აღმოჩენილი ასაკმელი თუ საკიდი მილაკები, დახვეული თხელფურცლოვანი სპილენძის ფირფიტისაგან. აღსანიშნავია აგრეთვე სპილენძის ეყვნები, რომლებიც წარმოადგენენ ორი ნახევარსფეროსაგან შედგენილ, ძირზე გამოჭრილ ან დაჩხვლეტილ ბურთულებს და სხვადასხვა ფორმის საკიდები. მაგ. ერთი ბრინჯაოს საკიდი დაფანჯრულ პირამიდას მოგვაგონებს, რომლის წვერს ერთმანეთზე დალაგებული ოთხკუთხა ფირფიტები და ამაღლებული, ბრტყელი ყუნწი წარმოადგენს (ტაბ. XVII, 6). საინტერესოა აგრეთვე ტყვიის ფირფიტოვანი საკიდები. ერთი მათგანი ოთხკუთხაა, ორი ყუნწით. მისი ზედაპირი ცენტრში გამოყოფილი სადა, რომბული ფიგურის ირგვლივ ბადისებური ორნამენტითაა შემკული (ტაბ . IV, 4). მეორე საკიდი მსხლისებური მოყვანილობისაა, რელიეფური წერტილებით შემკული (ტაბ. IV, 6). აღნიშნული საკიდები ორნამენტის შესრულების მანერით შენაქოს ტყვიის ჯვრების მსგავსნი არიან და მათ მსგავსად ხასიათდებიან აგრეთვე უხეში, დაუდევარი ნახელაობით.

აქვე გვინდა შევეხოთ ზარის ფორმის საკიდებს. ზარები ბრინჯაოსია, უენო. ორი ნახევარსფერული ფორმისაა, პატარა ყუნწით. ყუნწი ერთ შემთხვევაში მირჩილულია (ტაბ. XVII,1), მეორეზე კი წვერში გამოჭრილ ნახვრეტშია გაყრილი (ტაბ. XVII, 2). უკანასკნელი რამდენიმე ადგილზეა გამოჭრილი, ზედა, ურთიერთპარალელურ ნახვრეტებში ღეროა გაყრილი. მესამე ზარს (ტაბ. XVII, 3) ორმაგი კედელი აქვს. მისი ზედაპირი წახნაგოვანია, კიდეზე ორი ღარი შემოუყვება. ყუნწი ამაღლებული აქვს, ბრტყელი, ზედა ნაწილში საკმაოდ მსხვილი ნახვრეტით. ზომა: დიამეტრი: 1—3,5 სმ, 2—3,7 სმ, 3—4,3 სმ.

შენაქოს საკულტო მასალებს შორის ერთადერთი შუბისპირი აღმოჩნდა. იგი რკინისაა, მასრიანი. აქვს მაღალი ქედი და ვიწრო ფრთები. სიგრძე —21 სმ.

ამრიგად, შენაქოს კომპლექსის ზოგად მიმოხილვას და ცალკეული ნივთის ანალიზს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ.

შენაქოს მასალა საკულტო დანიშნულებისაა. იგი სალოცავ ნიშთან — ხატთან ანუ ჯვართანაა დაკავშირებული და ძირითადად

შედგება მსხვერპლად შეწირული ნივთებისაგან. აღნიშნული კომპლექსი წარმოადგენს წარმართული კულტისა და ქრისტიანული რელიგიის ელემენტების თანაარსებობის შესანიშნავ ილუსტრაციას. ქრისტიანული გულსაკიდი ჯვრები ფართოდ ფიგურირებენ აქ წარმართულ ზოომორფულ ქანდაკებებთან და კერამიკასთან. აგრეთვე რიტუალთან — ხატი, მსხვერპლად შეწირვა და სხვ.

ჯვარი, როგორც მზის ღვთაების სიმბოლური გამოსახულება უძველესი დროიდან დასტურდება ქართველი ტომების რელიგიურ შეხედულებებში. სწორედ ამიტომ მთის წარმართებმა მათთვის უცხო ქრისტიანული მოძღვრებიდან უმტკივნეულოდ აღიარეს ჯვარი და მისი თაყვანისცემა.

შენაქის გულსაკიდი ჯვრების საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექცია მეტად საინტერესო მასალას შეიცავს. მათი უმეტესი ნაწილი, სხვა ქვეყნების ჯვრებთან ზოგადი მსგავსების მიუხედავად, თვითმყოფად ხასიათს ატარებენ. ტყვიის ჯვრებს შორის აღმოჩენილი ნახევარფაბრიკატი აშკარად მათ ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს. ბრინჯაოს ჯვრები, განსაკუთრებით კი ჯვარცმისგამოსახულებიანი ნიმუშები, გამოსახულებათა შესრულებითა და სტილით, აგრეთვე ადგილობრივ ნახელავად მიგვაჩნია.

ბრინჯაოს ზოომორფული ქანდაკებები მთიელთა იდეოლოგიის ნაყოფს წარმოადგენენ და სიმბოლურ ხასიათს ატარებენ. ცხენოსნის ფიგურა, ვფიქრობთ, მიცვალებულის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული, ირემი — ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან და მონადირეობასთან, მამალი კი — უძველესი დროიდან, უკვდავებისა და აღდგომის სიმბოლოდ მიაჩნდათ.

კერამიკა, რომელიც ქოთნის, დერგისა და საწურის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი, რიტუალურ, საკულტო-სახმარ ჭურჭელს მიეკუთვნება. ამათგან ზოომორფულყურიანი ნიმუშები ეხმაურებიან ამავე ხასიათის ჩრდილოკავკასიურ კერამიკას.

სხვადასხვა ასორტიმენტით წარმოდგენილი სამკაული — მინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, საყურეები, საკინძები, მშვილდსაკინძები და მძივები წარმოდგენას გვიქმნიან ადრეულ საშუალო საუკუნეების თუშეთში გავრცელებული სამკაულის შესახებ. ნიშანდობლივია მათ შორის ინკრუსტირებული მინის სამაჯურების სიმრავლე, აგრეთვე საყურეების, ფიბულებისა და ნაწილობრივ ბრინჯაოს სამაჯურების თავისებური, იშვიათი ფორმები.

მდიდრულად წარმოდგენილი ცხენის ღვედური აკაზმულობის ელემენტები — ბალთები, მილაკები, ფიგურული საკიდები, ეჟვნე-

ბი, ზარაკები და სხვ. — ორიგინალური მოყვანილობითა და შემკულობით ხასიათდებიან.

შენაქოს კომპლექსში შესული მასალა, სუმარულად, VII—XIII სს. ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა და უმთავრესად კონკრეტულად დათარიღებული ნივთები, VIII—XI სს. მიეკუთვნებიან. აღნიშნული გარემოება გვიკარნახებს, რომ სალოცავი ნიში სწორედ ამ ხანის ძეგლად მივიჩნიოთ. კომპლექსში აღმოჩენილი VIII ს. ბოლოს, ქ. აბასიაბში მოჭრილი არაბული დირჰემი ამაგრებს ძეგლის ქვედა თარიღს.

შენაქოს აღმოჩენების მსგავსება საკუთრივ ქართულ მასალასთან მეღავნდება მთელი რიგი მოყვანილი ანალოგების საფუძველზე. ამავე დროს, ნივთების ნაწილი — ცხენოსნის ქანდაკება, ზოომორფული კერამიკა და სხვ., თავისი ხასიათით, დამახასიათებელი ჩანს ჩრდილო კავკასიის მატერიალური კულტურისათვის. მათი ჩრდილოკავკასიური ანალოგები მიუთითებენ იმ მჭიდრო კულტურულ და იდეოლოგიურ სიახლოვეზე, რომელიც არსებობდა ადრეულ საშუალო საუკუნეებში საქართველოს მთიან რაიონებსა და ჩრდილო კავკასიას შორის.

АРХЕОЛОГИЧЕСКИЙ МАТЕРИАЛ ИЗ СЕЛА ШЕНАКО
(Тушетия)

Резюме

В Государственный Музей Грузии им. акад. С. Джанашиа в 1964 году поступил археологический материал, обнаруженный в окрестностях села Шенако (Грузинская ССР, Горная Тушетия, Ахметский район), представленный нагрудными крестами, малыми зооморфными скульптурами, фрагментами посуды, украшениями, деталями конской сбруи, монетой— конца VIII века и др.

Отмеченный материал по своему характеру связан с местом культового назначения — «хати» или «джвари». Старые языческие культовые постройки сохранились до настоящего времени в ряде горных селений восточных районов Грузии. В некоторых из них и по сей день ежегодно проводится праздник «хатоба», представляющий собой пережиток древнего языческого религиозного обряда.

Материал из Шенако наглядно иллюстрирует сосуществование языческого культа и элементов христианской религии на раннем этапе распространения христианства в Тушетии.

Христианские нагрудные кресты широко фигурируют здесь наряду с элементами языческого обряда, зооморфными фигурками, керамическими изделиями и др. Признание христианского креста язычниками-горцами было обусловлено тем, что знак креста с незапамятных времен ассоциировал у грузинских племен с символическим изображением божества солнца.

Нагрудные кресты Шенако изготовлены из серебра (табл. III, 4), бронзы (табл. I, 1—3, 5; табл. II, 1, 3; табл. III, 1, 2) и свинца (табл. I, 4, 6; табл. II 2, 4—6). Они имеют разнообразные формы и украшены гравированным или рельефным орнаментом.

Среди крестов особый интерес вызывают литые бронзовые кресты с композицией распятия. Рельефные, графически обработанные изображения Христа характеризуются примитивизмом—нарушены пропорции, резко увеличены отдельные части тела и др. Особо следует отметить индивидуальный подход мастера к композиции распятия — Христос изображен фронтально, в одеянии, с закрытыми глазами — мертвый, но со спокойным выражением лица, без каких-либо признаков душевного или физического страдания. Своеобразные стиль и манера изображения, экспрессивность некоторых частей, характер одежды и другие признаки выявляют большое сходство с изображениями грузинской рельефной скульптуры и чеканного искусства VIII—X вв.

Свинцовые кресты Шенако исполнены грубо. Среди них выделяются своеобразные кресты со стилизованными изображениями человеческих головок (табл. II, 2). Обращает внимание также крест с взаимно-параллельными выступами на противоположных окончаниях рукавов креста (табл. II, 5). Крест этой формы появляется в грузинской нумизматике в конце X в. на монетах Давида курапалата, в период тесных политических и культурных взаимоотношений Византии и Грузии.

Своеобразие крестов из Шенако, а также обнаруженный среди них полуфабрикат, дает основание считать их изделиями местного производства.

Малые бронзовые скульптуры изображают всадника, оленя и петуха (табл. IV, 1—3). Все три изображения в грузинской языческой религии имели символическое значение. Фигура всадника, по-видимому, была связана с культом мертвых, олень — с культом владыки зверей и охотой, петух же с древних времен воплощал бессмертие и воскресение.

Зооморфная тематика и примитивные приемы изображения скульптур указывают на их связь с древнейшей языческой религией и архаическим искусством.

Посуда представлена фрагментами различных керамических изделий (табл. V—X, XXIII) и серебряных тарелок (табл. XXIV). Среди них два фрагмента с зооморфными ручками (табл. V), весьма схожи с керамикой того же характера из Северного Кавказа.

Среди культовых материалов села Шенако значительной находкой являются украшения — браслеты (табл. XI—XV), серьги (табл. XVI, 2, 3), фибулы (табл. XVII, 7), булавки (табл. XVI, I) и бусы.

Наибольшим распространением среди украшений пользуются стеклянные браслеты (табл. XI—XIII). Они изготовлены из черного, голубого, синего, зеленого и коричневого стекла, причем браслеты черного цвета в большинстве случаев инкрустированы пятнами из разноцветного непрозрачного стекла и растительным орнаментом (30 экз.). Стеклянные браслеты отличаются многообразием форм. Среди них встречаются браслеты с круглым и треугольным сечением, плосковыпуклые и крученые. Своеобразной формой отличаются серьги, фибулы и некоторые бронзовые браслеты.

Особо следует отметить элементы конской сбруи (табл. XVII, 1—6; табл. XVIII—XXII), которые представлены бляшками, бубенцами, колокольчиками и фигурными подвесками. Основная часть бляшек изготовлена из тонких бронзовых пластинок и украшена гравировкой. Встречаются также тисненные бляшки.

Археологический материал из Шенако суммарно относится к VII—XIII вв. Однако на основании того, что большинство конкретно датированных предметов принадлежат к VIII—XI вв., отмеченный комплекс в целом можно считать памятником этой эпохи.

Сходство археологических находок из села Шенако с собственно грузинскими материалами выявляется по ряду аналогий. Наряду с этим, часть предметов — фигурка всадника, зооморфная керамика и др. — характерны для материальной культуры Северного Кавказа. Это обстоятельство несомненно указывает на тесные культурные связи, существовавшие в раннем средневековье между горными районами Грузии и соседними северо-кавказскими народностями.



3



6





5



1



4

ᲗᲐᲑᲣᲚᲐ II



3



6

2



5



1



4


3


2


4


1

ტაბულა IV

3



6

2



5



1



4



1

2

ტაბულა V

ტაბულა VI



ᲪᲮᲠᲣᲚᲘ VIII





სურ. 1



სურ. 2

ტაბულა X



2



1


1
2
3

ტაბულა XII



1
2
3
4


1
2
3
4


1
2
3



3



2



1


1
2
3
4
5
6
7


3
6
2
5
1
4



3



7



2



6



5



1



4





7

6



2

5

1



4

1

2

3

5

6

7

ტაბულა XXII



3

6



2



5

4



1





2



1

შინაარსი

შესავალი 3
ჯვრები 14
ზოომორფული ქანდაკებები 30
ჭურჭელი 35
სამკაული 37
ცხენის აკაზმულობა 54
რეზიუმე 58
ტაბულები 61

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი პ. ზ ა ქ ა რ ი ა
გამომცემლობის რედაქტორი ც. თ ო დ უ ა
ტექრედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
კორექტორი მ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 13.7.72; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.8.73;
ქაღალდის ზომ 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 5.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.80;
უე 01114; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1973;
ფასი 45 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 380060, კუტუზოვის ქ., 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

Русудан Михайловна Долаберидзе

АРХЕОЛОГИЧЕСКИЙ МАТЕРИАЛ ИЗ СЕЛА ШЕНАКО

(Тушетия)

გამოცემულია „მეცნიერების“ გამოსცემს.

ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში. — ფასი 1 მან.